# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 12 ივლისი 2005 №156 (2479) ფასი 50 თეთრი




გოჩა ინასარიძე ტალინიდან

# ასეა, ასეა!

## დინამო ტალინშია, ლევადია სახლში



თბილისის „დინამომ“, როგორც იქნა, ტალინს ჩამოაღწია. თბილისიდან გუშინ ოთხ საათზე გამოფრენილი გუნდი ესტონეთის დედაქალაქში რვაზე ჩავიდა და აეროპორტიდან პირდაპირ „კადრიორგის“ სტადიონისკენ სავარჯიშოდ გასწია.

მოსკოვში ესტონეთის საკონსულოში კი ყველა პრობლემა მაინც ვერ მოგვარდა. „დინამო“ ტალინში სრული შემადგენლობით კი ჩამოვიდა, აქაა დავით ოდიკაძეც, მაგრამ გუშინ დილით ესტონელმა ჩინოვნიკებმა, ჯერაც გაურკვეველი მიზეზებით, ვიზა დაუკავეს ჩვენს კოლეგა გია პლატონიშვილსა და „დინამოს“ სამ თანამშრომელს. დავით ოდიკაძემ კი თავისი პასპორტი, რომელსაც ყდა ჰქონდა ოდნავ შელანძული, ლამის თვითმფრინავის ტრაპზე მიიღო.

— ძალიან უცნაური ამბავი მოხდა. ამ პასპორტით მთელი ევროპა უპრობლემოდ მაქვს შემოვლილი, ესტონელებთან კი პრობლემას წავაწყდი. კი ვიცოდი, რომ „დინამო“ ვიზის საკითხს მომიგვარებდა, მაგრამ მაინც ვინერვიულე, ძალიან მინდოდა „ლევადიასთან“ თამაში. ახლა მოსაგებად უფრო მეტი სტიმული მომეცა — გვითხრა ვიზამიღებულმა დავით ოდიკაძემ, ვინც გუშინვე თანაგუნდელებთან ერთად ივარჯიშა.

„დინამოს“ ტალინში ვერ ჩამოჰყვა „ტორპედოდან“ ახლახან გადაბირებული საყრდენი ნახევარმცველი გია ნერგაძე. მას მოულოდნელად მუხლი შეუშუპდა. დიაგნოზი უცნობია, გუნდის ექიმის დიმიტრი ზაალიშვილის თქმით, ტრავმის ხარისხს გამოკვლევა დაადგენს. სულ კი „დინამო“ „ლევადიასთან“ მატჩისთვის 19 ფეხბურთელით ემზადება.

— მოედანი ნორმალურია, კარგი ამინდია, გრილა და ბიჭებიც კარგ განწყობაზე არიან. მგზავრობამ ცოტა კი დაგვღალა, მაგრამ ეგ არაფერი, ხვალამდე ძალების აღდგენას მოვასწრებთ — გვითხრა „კადრიორგზე“ ნავარჯიშევს „დინამოს“ მწვრთნელმა კახა ცხადაძემ.

— ნერგაძეს ძირითადი შემადგენლობისთვის ვამზადებდით, მაგრამ რა გაეწყობა, ის დაშავდა და ახლა შემცვლელზე უნდა ვიფიქროთ. ნერგაძის არყოფნა, იმედია, დიდ პრობლემას არ შეგვიქმნის.

— „ლევადიას“ ბოლო მატჩის ფირი ვნახეთ. მაგრამ იმდენად უსახური თამაში იყო, ტალინელებზე სრული წარმოდგენა ვერ შემექმნა. ეს, ალბათ, „ლევადიას“ მეტოქის მიზეზით, თორემ თავად „ლევადიამ“ მოსკოვში „მოსკვას“ წინააღმდეგ ამხანაგურ მატჩში გაცილებით უკეთესი შთაბეჭდილება დატოვა. ამ გუნდის ყველაზე ძლიერი რგოლი თავდასხმაა და მათთან სიფრთხილე გვმართებს...

ტალინელებმა კი „კადრიორგზე“ თბილისელებამდე ივარჯიშეს და მწვრთნელმა ტარმო რუუტლიმ ფეხბურთელები შინ გაუშვა. ეს ფაქტი, დამეთანხმებით, ქართული გუნდებისთვის ცოტა უჩვეულოა, ესტონეთში კი ჩვეულებრივი ამბავი ყოფილა. მწვრთნელი ფეხბურთელებს ენდობა, დარწმუნებულია მათ პროფესიონალიზმში — ასე მარტივად აგვიხსნეს ლევადიური ამბავი.

როგორც სტადიონის ადმინისტრაციაში გვითხრეს, გუშინდლამდე 4 700-იან „კადრიორგზე“ ლევადია-დინამოს მატჩის სულ ასამდე ბილეთი ყოფილა გაყიდული და აქედან გამომდინარე მიხვდებით, ქალაქში ამ თამაშისადმი ინტერესი როგორია. „ლევადია“ — „დინამოს“ არც ერთი აქაური ტელევიზია არ გადასცემს, თუმც თქვენ მატჩის ფრაგმენტულ რეპორტაჟს საქართველოში „პირველი რადიოს“ ეთერით მოისმენთ.

ტალინში ტემპერატურა „დინამოს“ ჩამოსვლისას 26 გრადუსი იყო, დაღამებით კი აქ არ ღამდება, სულ ნათელია — თეთრი ღამეები დგას. იმედი ვიქონიოთ, რომ დღეს „ლევადიას“ მაინც დაუღამდება.

მატჩი თბილისის დროით რვის ნახევარზე დაიწყება.


ეროვნული ბიბლიოთეკა





ბაკურიანი თურქული მედლებით გამდიდრდა

ქართველი ძიუდოისტების ექვსი მედალი

13


# ჯამარაულმა ანართოსისი მიატოვა

## მიზეზი თვითონ გოჩას ჰკითხეთ, ამბობს ქეცბაია

34 წლის გოჩა ჯამარაული წინა სეზონის მეორე ეტაპზე თბილისის „დინამოში“ იყო, თუმც ეროვნული ჩემპიონატის ბოლო ტურებში გუნდში არ გამოჩენილა. სეზონის დასრულების შემდეგ მან კვიპროსულ „ანართოსისთან“ ერთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი, სადაც თემურ ქეცბაია და გიორგი ქინქლაძე დახვდნენ. ჯამარაული გუნდს ავსტრიულ შეკრებაზეც გაჰყვა და კვიპროსზეც დაბრუნდა, მაგრამ მერე იქიდან წამოვიდა. მიზეზის დასადგენად „ანართოსისის“ მოთამაშე-მწვრთნელ ქეცბაიას დავუკავშირდით.

— ჯამარაულმა „ანართოსისი“ თვითნებურად მიატოვა?

— ჰო, გუნდიდან წასვლა თვითონ გადაწყვიტა.

— მას ხომ კლუბთან კონტრაქტი აკავშირებს...

— კი, მაგრამ მაინც წავიდა.

— რატომ, რაღაც მიზეზი ხომ უნდა იყოს?

— უკვე მესამე დღეა, რაც ჯამარაული ჩვენგან წავიდა და თბილისშია, ჯობია, მიზეზი თვითონ ჯამარაულს ჰკითხოთ.

**დავით თავართქილაძე**



# ბებრის სეზონისწინა დალოცვა



1998 წელი. დინამოელი ლევან ხომერიკი „ატლეტიკის" კარში გატანილი გოლის შემდეგ

**დღეს** ქართული გუნდები ახალ ევროგაწამაწიას იწყებენ. კერძოდ, „დინამო" ტალინში „ლევადიასთან" თამაშობს. ხვალ არა და ზეგ დინამოელებს „ტორპედო" და „ლოკომოტივიც" შეუერთდებიან, მაგრამ ეს ზეგ მოხდება, მანამდე კი დღევანდელი დღეა და ამიტომაც ამოვკრიბეთ მხოლოდ „დინამოს" ამბები 1993 წლიდან შარშანდლამდე.

რატომ 1993 წლიდან, როდესაც დინამო ევროთასებზე მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან თამაშობსო, დაიჩივლებს ასაკოვანი გულშემატკივარი, რომელიც თავისებურად მართალი იქნება, მაგრამ...

მოდი, ამასწინანდელ ისტორიას მოგიყვებით: ამ სიტყვების ავტორი თავისზე უმცროს ქომაგს ესაუბრებოდა. საუბრის თემა სწორედ „დინამო" და ევროპა გახლდათ. ჰოდა, საუბარი აბსოლუტურად მტკნარად მიდიოდა, სანამ უმცროსმა ქომაგმა ასეთი რამ არ თქვა: წარმოიდგინე, რა მოხდება, ორი ეტაპი რომ გავიაროთ და რომელიმე ცნობილი გუნდი შეგვხვდეს. მაშინ ხომ მართლა მაგარ ფეხბურთელებს ვნახავთ...

აი, პასუხი, გულო ჩემო... — იტყოდა გალაკტიონი. მაშინ, მართალი გითხრათ, შევცბი, მაგრამ იქვე მივხვდი, რომ მტყუანი ვიყავი, არ უნდა შევმცბარიყავი. შევცბი იმიტომ, რომ მე, როგორც ძველი დროებით გაფუჭებულ ადამიანს, ორი ეტაპის გავლა წარმატება კი არა, დღემდე წარუმატებლობა მგონია და მეორეც, ჩემთვის „დინამო" ვილაცის წინააღმდეგ" კარგი ფეხბურთელების ნახვის საშუალება კი არა, ბრძოლაა, რომლისგანაც მეშემდეგეფინალში გასვლას ველი...

ჰოდა, პუპლუც! ასე რომ გგონია, იმიტომაც ხარ ბებერი და დროს ჩამორჩენილი, ახალი თაობა კი რეალისტია და კარგადაც იცის, რა უნდა ევროპული შეჯიბრებისგან.

აი, ეს გახლავთ მიზეზი იმისა, რომ სტატისტიკა მხოლოდ 1993 წლის შემდეგ ამოვკრიბეთ. 1993 წელი მკაფიო საზღვარია ძველსა და ახალს შორის. 1993 წლის შემდეგ უკვე ახალი ეპოქაა, ყველაფრის დამოუკიდებლად კეთების და ვერკეთების, თვალების ცეცების და სიბნელეში კედლისთვის თავის ხლის, ათ წელიწადში ორი კორუფციული სკანდალის და მაინც ნიჭიერი ბიჭების, რომელთაც ქართველი დედები და მამები, გვწამს, მომავალშიც გააჩენენ.

ხოლო, 1993 წლამდე ყველაფერი სხვანაირად იყო — ნაკრებს „დინამო" ერქვა და საკლუბო შეჯიბრებაში თამაშობდა, ეს „დინამო" იგებდა და ერთხელ თასების მფლობელთა თასიც მოიპოვა, იყო ის, რის გამოც ამ სიტყვების ავტორი ზემოთ აღწერილ ისტორიაში შეცბა და შეცდა, მაგრამ ისეც ნუ იფიქრებთ, რომ იმ ძალიან ძლიერმა გუნდმა ხსენებულ 1993 წლამდე მიატანა...

და მაინც, 1993 წელი საზღვარია, ჩვენ კი საზღვარს აქეთ ვდგავართ და დღეს საღამოს ტალინიდან პასუხს ველით. დღეს თბილისის „დინამო" — ახალი „დინამო" — ახალ ევროსეზონს იწყებს და ნეტამც საქმე ისე აეწყოს, რომ ამ დღიდან მოყოლებული ახლანდელ ახალგაზრდა ქომაგებს ნატვრა ჩემნაირად დაუბერდეთ...

**პაპუნა ძედია**

## დინამო ევროთასებზე (1993-2005)

| | | | |
|---|---|---|---|
| 93/94 | ჩ. ლიგა | I საკვალიფიკაციო | დინამო — ლინფილდი (ჩრდ. ირ) 2:1, 1:1 (დინამოს დისკვალიფიკაცია მისცეს) |
| 94/95 | უეფა | I საკვალიფიკაციო | დინამო — უნივერსიტატეა (რუმ) 2:0, 2:1 |
| | | II საკვალიფიკაციო | დინამო — ტიროლი (ავსტ) 1:0, 1:5 |
| 95/96 | უეფა | I საკვალიფიკაციო | ბოტევი (ბულგ.) — დინამო 1:0, 1:0 |
| 96/97 | უეფა | I საკვალიფიკაციო | დინამო — გრევენმახერი (ლუქს) 4:0, 2:2 |
| | | II საკვალიფიკაციო | დინამო — მოლდე (ნორვ) 2:1, 0:0 |
| | | 1/32 ფინალი | ტორპედო (რუს) — დინამო 0:1, 1:1 |
| | | 1/16 ფინალი | დინამო — ბოავიშტა (პორტ) 1:0, 0:5 |
| 97/98 | ჩ. ლიგა | I საკვალიფიკაციო | კრუზეიდერსი (ჩრდ. ირ) — დინამო 1:3, 1:5 |
| | | II საკვალიფიკაციო | ლევერკუზენი (გერ) — დინამო 6:1, 0:1 |
| | უეფა | 1/32 ფინალი | მოზირი (ბელარ) — დინამო 1:1, 0:1 |
| | | 1/16 ფინალი | ბრაგა (პორტ) — დინამო 4:0, 1:0 |
| 98/99 | ჩ. ლიგა | I საკვალიფიკაციო | დინამო — ვლაზნია (ალბ) 1:0, 1:3 (პირველ მატჩში დინამოს 3:0 მოუგეს ჩაუთვალეს) |
| | | II საკვალიფიკაციო | დინამო — ბილბაო (ესპ) 2:1, 0:1 |
| | უეფა | 1/32 | ტილბურგი (ჰოლ) — დინამო 3:0, 3:0 |
| 99/2000 | ჩ. ლიგა | II საკვალიფიკაციო | დინამო — ზიმბრუ (მოლდ) 2:1, 0:2 |
| 2001/01 | ინტერტოტო | | I ეტაპი დინამო — სტანდარდი (ბელგ) 2:2, 1:1 |
| 2001/02 | უეფა | I საკვალიფიკაციო | დინამო — ბატე (ბელგ) 2:1, 0:4 |
| 2002/03 | უეფა | I საკვალიფიკაციო | დინამო — ტვმკ (ესტ) 4:1, 1:0 |
| | | II საკვალიფიკაციო | ლიბერეცი (ჩეხ) — დინამო 3:2, 1:0 |
| 2003/04 | ჩ. ლიგა | I საკვალიფიკაციო | დინამო — ტირანა (ალბ) 3:0, 0:3 (პენ. 2:4) |
| 2004/05 | უეფა | I საკვალიფიკაციო | ბატე (ბელარ) — დინამო 2:3, 0:1 |
| | | II საკვალიფიკაციო | სლავია (ჩეხ) — დინამო 3:1, 0:2 |
| | | III საკვალიფიკაციო | ვისლა (პოლ) — დინამო 4:3, 1:2 |
| | | ჯგუფური ეტაპი | დინამო — ოსერი (საფრ) 0:2 |
| | | | ნიუკასლი (ინგ) — დინამო 2:0 |
| | | | დინამო — სპორტინგი (პორტ) 0:4 |
| | | | პანიონიოსი (საბ) — დინამო 5:2 |
| სულ | | | მოიგო 23, ფრე 7, წააგო 22, ბურთები 66:85 |
| ჩემპიონთა ლიგაზე | | | მოიგო 8, ფრე 1, წააგო 5, ბურთები 22:21 |



გრიგოლ დოლიძე (№20) ბოლნისს ლატვიიდან დაუბრუნდა

# გრიგოლეთში ორი სიონია

## დოლიძე ბოლნისში დარჩა

**ბოლნისის** „სიონი" გრიგოლეთის შეკრებაზეა, სადაც 22 ივლისამდე გაჩერდება და რამდენიმე ტესტ-მატჩს გამართავს. დღეს და ხვალ ხვიჩა ქასრაშვილი ორი გუნდით შეერკინება თელავის „კახეთს", 17 ივლისს „ბათუმს" შეხვდება, 18-ში „ბორჯომს" და მომდევნო დღეებში კიდევ ორი თამაშის გახერხებას ეცდება.

„საკმაოდ ბევრი ფეხბურთელი მყავს და გადავწყვიტე, ორი შემადგენლობა გავაკეთო. დღევანდელი კონტინგენტიდან ზოგი გასინჯვაზეა და, რა თქმა უნდა, ყველა მათგანი „სიონში" არ დარჩება" — ქასრაშვილმა ასევე გვითხრა, „ამერთან" თამაშის შემდეგ გუნდიდან არავინ წასულა, ერთადერთი, გრიგოლ დოლიძე დაგვიბრუნდა და ამ სეზონში ჩვენთან იქნებაო. შეგახსენებთ, გასული სეზონის საუკეთესო სიონელი დოლიძე ლატვიურ „მეტალურგში" ცდილობდა გადასვლას. ბოლნისურმა კლუბმა იგი ტრანსფერზე დააყენა, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა.

ბოლნისელთა თავკაცმა თქვა, ჩემპიონატის დაწყებამდე კიდევ ვეცდებით გაძლიერებას, მაგრამ რეალურად არაა ცნობილი, რომელი ფეხბურთელები დაგვემატებიანო. „სიონმა" ბოლო ორ კვირაში ლამის ყველა ტესტ-მატჩი წააგო, თუმც ქასრაშვილი მეტწილად გასასინჯ ფეხბურთელებს ათამაშებდა.

**ილია ნანობაშვილი**

# მალე იქნება შავი და თეთრი კოლხეთი ბიზნესმენებს?

**30 ივლისამდე** საუკუნე არ რჩება, ფოთის „კოლხეთში" კი კვლავაც გაუგებრობაა. კაცმა არ იცის, რა დაფინანსება ექნება კლუბს... ან საერთოდ თუ ექნება. ხმები აგორდა, ფოთელებს ისევ სოსო ფილია გაწვრთნის, იგი რეგიონალლიგიდან პირველ ლიგაში გადასული „სენაკურიდან" წავიდა, რათა მშობლიურ ქალაქში იმუშავოსო. ჯერჯერობით ეს ამბავი მართლაც აგორებულს ჰგავს, რადგან ფოთში ჩავიდა „კოლხეთის" მოქმედი თავკაცი სერგო გაბელაია და მისთვის არავის უთქვამს, გათავისუფლებული ხარო.

ჩვენ ფოთის პორტის უფროსს თემურ მიმინოშვილს დავუკავშირდით, რომელმაც გვითხრა, პორტი კლუბს ველარ შეეშველება, პატრონობას ქალაქის მერია იკისრებსო. „შესაძლოა, მერიასთან ერთად „კოლხეთზე" ბიზნესმენებმაც იზრუნონ, არ მინდა, ფოთში ფეხბურთი ჩაკვდეს, გუნდი აუცილებლად უმაღლეს ლიგაში უნდა იყოს. ამ დღეებში ყველაფერი სასიკეთოდ გადაწყდება" — ამბობს მიმინოშვილი.

გუშინ კი მიმინოშვილს, ქალაქის მერ ვანო სალიაძესა და პორტის მოიჯარე ბიზნესმენებს უნდა ეთათბირათ და გაერკვიათ, რა შემოსავალი ექნება „კოლხეთს" ახალ სეზონში. გაბელაიამ წუხელ გვითხრა, არ ვიცი, რა გადაწყდა, ხვალ შევცოდინებაო.

„დღეს ფეხბურთს უფულოდ არავინ თამაშობს. „კოლხეთი" არ ვარჯიშობს, ბიჭები ჯერ იმის გაგებას უცდიან, როგორი პირობები ექნება კლუბს." — ასევე პასუხს ელის სერგო გაბელაია, თუ გუნდი დაიშალა, ფოთში მე რაღა მესაქმებაო.

**ილია ნანობაშვილი**

### შვედეთი

ალსვენსკა. XIII ტური

სუნდსვალი 1:1 იურგორდენი

### სუპერეტა

XV ტური

ნორჩიოპინგი 2:1 ფალკენბერგი

ვასბი 3:2 ვასტერასი

### ისლანდია

პრემიერდივიზიონი. X ტური

რეიკიავიკი 1:3 ფილკირი

**იტალია,** ლინიანო, ახალგაზრდების ოლიმპიური ფესტივალი — საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებმა ოქროს მედალი მოიპოვა, ფინალში თანატოლ „სკუადრა ადზურას“ 2:0 მოუგო...

ჩვენი იუნიორებიდან ხუთი თბილისის „ამერის“ ფეხბურთელი გახლდათ — მცველები ზურაბ გვაძაბია და გიორგი ელბაქიძე, ნახევარმცველები გიორგი ნიკოლაიშვილი და 18-წლამდელთა ნაკრების კაპიტანი მირზა ბჟალავა და ტურნირზე ქართველთაგან ყველაზე მეტი, სამი გოლის გამტანი რატი წინამძღვრიშვილი — ისინი იტალიურ შთაბეჭდილებებზე საუბრობენ.

*ნიკოლაიშვილი:* ყველა გუნდი ოლიმპიურ სოფელში ვცხოვრობდით, სადაც ერთი ხელოვნურსაფრიანი მოედანი იყო, რამდენიმე წუთის სავალზე კი სხვა მოედნებიც მოეწყოთ. კარგი სიტუაცია იყო, ირლანდიელ და ლატვიელ ფეხბურთელებთან ძალიან ახლო ურთიერთობაც გავაბით.

**— მოკლედ, სოფელში ახალგაზრდული ცხოვრება ჩქეფდა...**

*ბჟალავა:* სპორტსმენი გოგონები და დისკოთეკა, თუმც დისკოთეკაზე, თამაშის წინა დღეს ვერ მივდიოდით.

**— იტალიაში რომ ჩახვედით, თქვენი მწვრთნელი კობა ჟორჟიკაშვილი აქცენტს რა ფაქტორზე აკეთებდა?**

*გვაძაბია:* ფეხბურთელებს რაც შეიძლება კარგად უნდა დაგვესვენა, სულ ფეხბურთზე ნუ იფიქრებთ, თავისუფლად იყავითო — ასეთი იყო მწვრთნელების მიდგომა.

*ელბაქიძე:* განტვირთვა და ფსიქოლოგიური მომზადება ძალიან გამოგვადგა, მწვრთნელი სულ იმას გვეუბნებოდა, თავისუფლად ითამაშეთო. პირველი ორი მატჩი 4-4-2 სქემით ვითამაშეთ, ფინალი 4-5-1-ით.

**— ტურნირის პირველ შეხვედრაში შვეიცარიას 2:1 მოუგეთ — როგორი თამაში იყო?**

*ბჟალავა:* რატი წინამძღვრიშვილთან მეკარე დაჯარიმდა და გააძევეს — ეს პირველ წუთებში მოხდა და ამან ჩვენ გამარჯვებაში დიდი როლი შეასრულა. კაცნაკლულ მეტოქეს მაგრად შევუტიეთ და პირველ ტაიმში ორი გოლიც გავუტანეთ. შესვენების შემდეგ ცოტა მოვეშვით, საგოლე მომენტები ჩვენც გვქონდა და მეტოქესაც, კარგად ითამაშა მეკარე რევაზ თევდორაძემ, თუმც ერთი გოლი მაინც გავუშვით.

**— ფლანგებზე თამაში კარგად წაგივიდათ?**

*ნიკოლაიშვილი:* ფლანგების ანუ ფრთების გარეშე ვერ გავფრინდებითო, გვეუბნებოდა ბატონი კობა, მაგრამ თამაში ფლანგებზე გვქონოდა აწყობილი, ეგრეც არ ყოფილა.

*ბჟალავა:* კომბინაციურ სტილზე და დამუშავებულ სტანდარტულ სიტუაციებზე ჩვენი თამაში აწყობილი არ ყოფილა, ჩვენ უფრო ინდივიდუალური თამაშით გავდიოდით ფონს.

**— მომდევნო შეხვედრაში ლატვიასთან ფრედ ითამაშეთ, ორი გოლი გაუშვით — რა ხდებოდა დაცვაში?**

*გვაძაბია:* ხაზზე განლაგებული დაცვით ვთამაშობდით, ლატვიასთან პირველი გოლი ჩვენი, დაცვის ბრალი იყო, მეორე გოლი კი პენალტით გაგვიტანეს, 11-მეტრიანის აკიდების აუცილებლობა არ იყო, მაგრამ ემოციებში ვიყავით და...

**— განაპირა მცველებს შეტევაში ჩართვა არ გევალებოდათ?**

*ელბაქიძე:* ლატვიასთან იყო ასეთი დავალება მწვრთნელისგან, რადგან ლატვიელებს ფლანგებზე პრობლემები ჰქონდათ.

**— ლატვიასთან როგორი გოლი შეაგდე?**

*ბჟალავა:* რატის დარტყმულ და მეკარისგან მოგერიებულ ბურთზე ერთი მცველი მოვატყუე და გავიტანე.

**— ქართულ ასაკობრივ ნაკრებებს ხშირად უწუნებენ არასათანადო ათლეტიზმს და გამძლეობას...**

*ნიკოლაიშვილი:* ამ ტურნირზე პირიქით იყო, მატჩის ბოლოს უფრო ჩვენ ვუტევდით.

**— ფინალში იტალიელი ფორვარდების წინააღმდეგ თამაში როგორი იყო?**

*გვაძაბია:* იტალიელთა მარცხენა მცველი გრძელი პასებით ამარაგებდა თავდამსხმელებს, ისინი მცველებთან ორთაბრძოლებში უმეტესად იგებდნენ ბურთს, მაგრამ ხეირიან შეტევას ველარ ანვითარებდნენ.

**— იტალიელი 18-წლამდელები მათ ეროვნულ ნაკრებს არ ჰგავდნენ?**

*ელბაქიძე:* სათამაშო დისციპლინით და სტილით კი, მაგრამ ოსტატობით არა.



[illegible] ფოტო

# ამერული ხუთეული იტალიაზე

არ დაგიმალავთ და, ამ ტურნირში თქვენ წარმატებაზე არ მიფიქრია, თქვენთვის შედეგი არც მოგვითხოვია, ჩვენი მიზანი ამ ტურნირზე ღირსეულად გამოსვლა იყო. მადლობას მოგახსენებთ ოქროს მედლებისთვის, თქვენ გამარჯვებას საქართველოში საკმაოდ დიდი რეზონანსი ჰქონდა — ასეთი სიტყვით მიმართა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებს, რომელმაც იტალიაში გამართულ ახალგაზრდების ოლიმპიურ ფესტივალზე გაიმარჯვა.

მოკლედ, კობა ჟორჟიკაშვილის და ლევან მელიქიას გაწვრთნილი იუნიორები გუშინ ფედერაციაში მიიწვიეს და სანამ მისი პრეზიდენტი სიტყვას იტყოდა, თითოეულ ფეხბურთელს ჩამოართვა ხელი და ცხადია, არც მწვრთნელები დავიწყებია.



[illegible] ფოტო

**— ტურნირის პირველ ორ მატჩში სასტარტოში იყავი, ფინალში კი არ გითამაშია — რატომ?**

*ნიკოლაიშვილი:* იტალიასთან უფრო ჩამშლელი სტილის ფეხბურთელი გვჭირდებოდა და ჩემმა შემცვლელმა ბუბა დაუშვილმა საქმეს კარგად გაართვა თავი.

**— ნაკრებში ხუთი ამერელი იყავით — შეუთამაშებელი, ახალშექმნილი გუნდზე ამან ალბათ განსაკუთრებულად კარგად იმოქმედა...**

*ბჟალავა:* ეგრეა და, კიდევ „ოლიმპიდან“ იყო ოთხი ფეხბურთელი — შეთამაშების ამბავში ეს მართლაც დაგვეხმარა — თერთმეტიდან ცხრა ორი გუნდის ფეხბურთელი რომ იყო.

**— ამ ტურნირზე მიღებული გამოცდილება რამდენად ფასეულია საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში სათამაშოდ?**

*ნიკოლაიშვილი:* უფროსი ასაკის, ზრდასრულ ფეხბურთელებთან სათამაშოდ სხვა გამოცდილებაა საჭირო.

*ბჟალავა:* მე პირიქით ვფიქრობ, საერთაშორისო გამოცდილება, თუნდაც 18-წლამდელთა ტურნირში მიღებული, ძალიან გამოსადეგია უფროსებთან თამაშისთვისაც.

**— ნაკრებში რაიმე წინასამატჩო რიტუალს არასრულებთ?**

*ბჟალავა:* თამაშის წინ და შესვენებაზე, გასახდელში ვლოცულობდით, სანთლებს ვანთებდით.

**— მეტოქეების მხრიდან შეუფასებლობას თუ გრძნობდით?**

*ბჟალავა:* ლატვიასთან თამაშის წინ, როცა კაპიტნებმა ვიმპელები გავცვალეთ, ლატვიურ ვიმპელს სხვა თარიღი ეწერა ანუ ლატვიელებს ეგონათ, რომ შვეიცარიასთან დავმარცხდებოდით და მათ მოგებულთან კი არა, წაგებულ საქართველოსთან მოუწევდათ თამაში. იტალიასთან თამაშის წინ ერთი იტალიელი ფეხბურთელი მოვიდა და გვითხრა, 2:0-ს მოგიგებთო.

**— ფეხბურთის თამაშის გარდა კარგად კიდევ რისი კეთება შეგიძლიათ?**

*გვაძაბია:* არაფრის, ჩემთვის მთავარია, რომ მხოლოდ ფეხბურთის კარგად თამაში მეხერხებოდეს.

*ბჟალავა:* იუმორი და გართობაც მეხერხება, კიდევ სამართალმცოდნეობის შესწავლა მსურს და უნივერსიტეტში ვაპირებ ჩაბარებას.

*ნიკოლაიშვილი:* მეგობრებთან ყოფნა.

**— ტურნირის სამივე მატჩში თითო გოლი გაიტანე — ეს შენი მაქსიმუმი იყო?**

*წინამძღვრიშვილი:* მეტიც უნდა შემეგდო, ექვსი მაინც.

**— ათლეტიზმი, სისწრაფე, ტექნიკა, გოლის ალღო — გოლების გატანაში ყველაზე უფრო რა დაგეხმარა?**

— პირველ რიგში, ალღო.

**— იტალიელი მცველების წინააღმდეგობა როგორი იყო, ძალიან უხეშობდნენ?**

— მაინცდამაინც ვერ უხეშობდნენ, რადგან ამის საშუალებას არ ვაძლევდი.

**— ყველაზე უფრო რა შეგძინა ამ ტურნირმა?**

— ის, რომ ყველასთან შეიძლება მოგება — გახვალ მინდორზე და იტალიასაც მოუგებ და ბრაზილიასაც.

**დავით თავართქილაძე**

# ვიტალის ყუმბარა არმიას
## ასათიანის შვიდიანი



მალხაზ ასათიანი „სახალხო გუნდის“ წაქცევას სიჩოვთან ერთად ზეიმობს

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი | ს | სპარტაკი 2:1 | 90 | | 14 | 1 | 1 |
| მიხეილ აშვეთია | როსტოვი | შ | ზენიტი 0:1 | 45 | შეცვალეს | 3 | 0 | 16 |
| რომან ახალკაცი | ლოკომოტივი | ს | სპარტაკი 2:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| მათე ღვინიანიძე | ლოკომოტივი | ს | სპარტაკი 2:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| გიორგი ჭელიძე | ლოკომოტივი | ს | სპარტაკი 2:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| ვიტალი დარასელია | ალანია | შ | ცსკა1:1 | 90 | გოლი | 12 | 1 | 14 |
| ლევან გვაზავა | ალანია | შ | ცსკა1:1 | 0 | | 5 | 0 | 14 |
| ლადო ბურდული | ალანია | შ | ცსკა1:1 | 90 | გააფრთხილეს | 8 | 0 | 14 |
| დავით კვირკველია | ალანია | შ | ცსკა1:1 | 0 | ტრავმირებულია | 9 | 0 | 14 |
| ჯაბა კანკავა | ალანია | შ | ცსკა1:1 | 19 | შეცვლაზე ითამაშა | 8 | 0 | 14 |
| გიორგი შაშიაშვილი | ალანია | შ | ცსკა1:1 | 0 | | 6 | 0 | 14 |
| ლაშა სალუქვაძე | რუბინი | შ | შინიკი 2:0 | 90 | | 10 | 0 | 3 |
| **რუსეთი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გიორგი ლომაია | ხიმკი | ს | დინამო (მახ.)1:1 | 90 | | | | |
| | | ს | სპ (ნალჩიკი) 2:5 | 90 | | 10 | 0 | 8 |
| გოგიტა გოგუა | ხიმკი | ს | დინამო (მახ.)1:1 | 0 | | | | |
| | | ს | სპ (ნალჩიკი) 2:5 | 0 | | 5 | 0 | 8 |
| რევაზ გოცირიძე | კამაზი | ს | სპ (ნალჩიკი)1:2 | 13 | შეცვლაზე ითამაშა | | | |
| | | ს | დინამო (მახ.)0:2 | 26 | შეცვლაზე ითამაშა | 13 | 0 | 5 |
| კახა მჟავანაძე | ანჟი | ს | ამური 0:2 | 90 | გააფრთხილეს | | | |
| | | ს | ლოკ. (ჩიტა) 2:3 | 90 | გააფრთხილეს | 17 | 0 | 6 |
| მამუკა ლომიძე | ჩკალოვეცი | ს | ავანგარდი 4:1 | 90 | გააფრთხილეს | | | |
| | | ს | ორიოლი 3:0 | 89 | შეცვალეს | 9 | 0 | 18 |
| ლევან ბერიშვილი | მ. კუზბასი | ს | ორიოლი1:2 | 0 | | | | |
| | | ს | ავანგარდი1:0 | 90 | | 18 | 0 | 20 |
| პაატა ჯინჭარაძე | ბრიანსკი | შ | ვოლგ-გაზპრომი1:0 | 90 | | | | |
| | | შ | სოკოლი 4:1 | 45 | შეცვალეს | 21 | 2 | 17 |
| დავით ხმელიძე | ჩელიაბინსკი | ს | ლუჩ-ენერგია 2:3 | 0 | | | | |
| | | ს | სკა-ენერგია 0:4 | 0 | | 8 | 0 | 11 |
| **ლატვია. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კორლალიძე | სკონტო | ს | ვენტა1:0 | 45 | შეცვლაზე ითამაშა | 13 | 0 | 2 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სკონტო | ს | ვენტა1:0 | 0 | დისკვალიფიცირებული იყო | 12 | 0 | 2 |
| ზაალ ელიავა | სკონტო | ს | ვენტა1:0 | 90 | | 14 | 0 | 2 |
| დავით ჩალაძე | სკონტო | ს | ვენტა1:0 | 45 | შეცვლაზე ითამაშა | 6 | 0 | 2 |
| ლევან მიქაძე | მეტალურგსი | შ | ოლიმპი 5:0 | 90 | | 12 | 0 | 1 |
| ალეკო რეხვიაშვილი | ვენტსპილსი | ს | რიგა3:1 | 90 | | 12 | 2 | 3 |
| გიორგი მოდებაძე | ვენტსპილსი | ს | რიგა3:1 | 0 | | 7 | 1 | 3 |
| **ყაზახეთი. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი გოგიაშვილი | ვოსტოკი | ს | ბოლატი 2:0 | 83 | 1 გოლი, შეცვალეს | 14 | 3 | 7 |
| ზურაბ არჩვაძე | ეკიბასტუზეცი | შ | ატირაუ1:1 | 90 | | 13 | 0 | 13 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

**რუსეთში** ქართველების ყოჩაღობა გრძელდება: მალხაზ ასათიანის „ლოკომოტივმა“ მთავარ მდევარ „სპარტაკს“ სტუმრად ამოსდო ლაგამი და სოლიდური ფორით გაყოჩდა. მახო ისევ დაცვაში დაბრუნდა, მაგრამ ორჯერ ისეთი სოლო-რეიდი იკისრა, თქვენი მოწონებული.

ასათიანი მეშვიდედ(!) მოხვდა პრემიერლიგის ტურის სიმბოლურში, ამდენჯერ ეს პატივი წლეულს არც ერთ ფეხბურთელს არ რგებია.

„ლოკომოტივის“ დუბლები კი 4:3 მოგებას დაეჩვივნენ. „პატარა“ რკინიგზელებმა „პატარა“ „სპარტაკი“ ბოლო წუთებზე გატეხეს და გადამწყვეტი ბურთი გიორგი ნოდარის ძე ჭელიძემ შეაგდო. მანამდე რომან ახალკაცმაც გაიტანა, თუმცა თამაშის მილეულს ექსქუთაისელმა წითელი ბარათითაც „გამოიჩინა“ თავი. მოკლედ, „პაჭელოს“, ახალკაცს და მათე ღვინიანიძეს დუბლებში ტოლი არ ჰყავთ...

როგორც იქნა, ვლადიკავკაზელი ქართველობა პირველ ალანიურ გოლსაც ეღირსა, თან ვისთან. ვიტალი დარასელიამ უეფას თასის მფლობელ ცსკა-ს ცხრიანში დაუგუგუნა, მატჩის რჩეულ კაცად აღიარეს და მესამედ შეიყვანეს ტურის სიმბოლურში. ვიტალის ყუმბარას არმიელებმა მალევე უპასუხეს, ასე რომ, „ალანიას“ მოგება დაუძვრა. ებრაელი მწვრთნელის, იცხაკ შუმის ვლადიკავკაზური ნათლობა ფრედ, 1:1 დასრულდა.

პრემიერლიგის კიდევ ერთი გამოსარჩევი „ქართული“ ამბავი მიხეილ აშვეთიას როსტოვული დებიუტი გახლდათ. მიხომ „ზენიტთან“ მხოლოდ პირველი ტაიმი ითამაშა, დონისპირელებმა კი ისევ წააგეს და ცხრილის ფსკერზე ყურყუტებენ — ეგებ აშვეთია მოევლინოთ მხსნელად...

სხვა? ლატვიაში ჩვენიანთა გუნდებმა მოიგეს, მაგრამ მინდორი მაინცდამაინც არ „გადაუნახავთ“.

რუსეთის პირველი დივიზიონი კი შეგნებულად არ გვიხსენებია: იქ რა ხანია, ქართველებს გოლები დაავიწყდათ, ლომაიას და გოგუას „ხიმკი“ კი უკვე მერვე ადგილზე ჩამოქვეითდა. არადა, ხიმკელებს სეზონის დაწყებამდე ლიღინ-ლიღინით პირველობას უქადნენ...

**ილია ნანობაშვილი**

# იაშვილი ლიბერალია
## 24:0, 12:0 — აღარ უშლიან?!

**ევროპის** წამყვან საფეხბურთო ქვეყნებში სეზონისწინა ფაციფუცია, გუნდები ტესტ-მატჩებს ეშურებიან. ჩვენც ქართველებისა ვიკითხოთ...

მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებული „ფრაიბურგი“ ყოველწლიურად იკრიბება ჩრდილოეთ გერმანიის ქალაქ ლანგეოკში, ფოლკერ ფინკეს გუნდი ახლაც იქაა და, როგორც ჩანს, ადგილობრივ მოყვარულთა კლუბის დასაწიოკებლად ჩასულა — „ფრაიმ“ 24:0 მიაწგრია „ლანგეოკი“, ქართველმა ფორვარდმა ალექსანდრე იაშვილმა კი მხოლოდ ერთი გოლი იკმარა. ბუნდესსეზონის დაწყებამდე დრო საკმაო კია, მაგრამ „იაშის“ სავარაუდო ტრანსფერზე ჩამიჩუმიც არ ისმის. ჩვენიანს, ალბათ, ისევ „დრაიზამშტადიონზე“ მოუწევს თამაში.

ლევან კობიაშვილის „შალკემ“ რეგიონალლიგელ „ესენს“ 2:0 მოუგო აილტონისა და ლინკოლნის გოლებით. „ხუმარებმა“ ორი შემადგენლობით ითამაშეს და ორივე ბურთი კობის მოედანზე ყოფნისას შეაგდეს. „აუფშალკეზე“ 5000 მაყურებელი მივიდა, ეს ხომ მათი საყვარელი გუნდის პირველი მატჩი იყო სეზონის დასრულების შემდეგ.

გერმანიიდან შვეიცარიაში გადავიდეთ, სადაც „ციურიხმა“ 4:1 გაანადგურა თბილისის „დინამოს“ სავარაუდო საჩემპიონთალიგო მეტოქე „ბრონდბიუ“. ლადო ახალაიას კვლავ მუხლის ტრავმა აწუხებს და დანიელებთან არ უთამაშია, თუმც ციურიხელთა ვებ-გვერდი იწერება, ქართველი მალე მომჯობინდებაო.

გოგა გახოკიძემ ჰოლანდიის ქვედალიგელ „ენგელოსთან“ გაილაღა. მისმა „ტვენტემ“ „ფრაიბურგის“ ნახევარი, 12:0 იკმარა. გოგა 46-ე წუთზე შეცვლაზე შევიდა და ბოლო ლურსმანი ჩააჭედა — მე-12 გოლი სწორედ მისი იყო.

უკრაინაში კი დღეს იწყება ჩემპიონატი. ბოლო ტესტ-თამაშში ლაშა ჯაკობიამ გიორგი ციმაკურიძის „სტალს“ გაუტანა, „მეტალისტმა“ კი 2:1 მოიგო.

**ილია ნანობაშვილი**



ალექსანდრე იაშვილს საცოდავ მოყვარულებთან თავი არ გამოუდია

# სტეფანო ფიორენტინასია



სტეფანო ფიორე იტალიაში დაბრუნდა

**როგორც ჩანს,** ფლორენციის „ფიორენტინამ" კიდევ ერთი სასურველი ტრანსფერი გაჩარხა. ცოტა ხნის წინ უკვე გამცნეთ, რომ „იებმა" სტეფანო ფიორეს დაადგეს თვალი. ახლა კი მხარეებს შორის კონტრაქტის გაფორმებას თითქმის აღარაფერი უკლია.

„სტეფანო ფიორე, ფაქტობრივად, „ფიორენტინას" ფეხბურთელია. რამდენიმე დეტალიღა დაგვრჩა შესათანხმებელი. იგი სიამოვნებით დათანხმდა ჩვენს წინადადებას" — თქვა ფლორენციელთა სპორტულმა დირექტორმა პანტალეო კორვინომ.

გარდა ამისა, კორვინომ „იების" სხვა მიზნებზეც ისაუბრა და კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ კლუბი შეტევის გაძლიერებას აპირებს.

„ვიცით, რომ გუნდში ვალერი ბოჟინოვისა და ჯანპაოლო პაცინის ყოლა უკვე ბევრს ნიშნავს, მაგრამ თავდასხმის გაძლიერება მაინც გვჭირდება. ლუკა ტონი ჩვენი ერთ-ერთი მთავარი სამიზნეა, მაგრამ მხოლოდ მისაღებ ფასად. იმედია, ეს „პალერმოსაც" ესმის" — დასძინა კორვინომ.

გიორგი ძაძაბაძე

# აიოდელე ფიქრობს

## პალერმოს და ინტერს ტრაპი შეუერთდა

**ბერგამოს** „ატალანტას" ნიგერიელ ფორვარდ აიოდელე სტეფან მაკინვას მსურველი კლუბების რიგი დაუდგა. 21 წლის მეგოლის გადაბირებას აქამდე „პალერმო" და მილანის „ინტერი" ცდილობდნენ, გუშინ კი მესამე ვარიანტი — „შტუტგარტი" გამოჩნდა.

მოგეხსენებათ, ბუნდესლიგურ გუნდს გასულ სეზონში მათიას ზამერი წვრთნიდა, რომელიც ამ ზაფხულს ჯოვანი ტრაპატონიმ შეცვალა. სწორედ ტრაპატონის იდეა ყოფილა მაკინვას შეძენა და „შტუტგარტს" 9 მილიონ 800 ათასი დოლარიც გაუმზადებია.

„გადაწყვეტილებას ორ დღეში მივიღებ — განაცხადა ნიგერიელმა — ყველაფერი უნდა ავწონ-დავწონო. ჯოვანი ტრაპატონი მსოფლიო დონის მწვრთნელია და სასიამოვნოა, რომ ჩემი თამაში მოსწონებია, მაგრამ „პალერმო" ან „ინტერი" „ატალანტასთან" თუ შეთანხმდნენ, მაშინ იტალიას არ დავტოვებ. გერმანიაში გადასვლა ახალ პრობლემებს შემიქმნის. ენაც არ ვიცი და იქნებ შეგუებაც გამიჭირდეს. არ მინდა, რომ არჩევანში შევცდე, რადგან ამან შესაძლოა, ჩემს კარიერაზე უარყოფითად იმოქმედოს".



აიოდელე სტეფან მაკინვა

ვაჟა ხუციშვილი

# რეალური გამოფენა

**„რეალის"** ახალწვეულმა ურუგვაელებმა, პაბლო გარსიამ და კარლოს დიოგომ გუშინ სამედიცინო შემოწმება გაიარეს და კლუბმაც ფეხბურთელები მედიას წარუდგინა.

„ოსასუნადან" „რეალში" გადასულმა 28 წლის პაბლო გარსიამ ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ის ნახევარმცველია და, სავარაუდოდ, თომას გრავესენის მეწყვილე გახდება. 21 წლის დიოგო კი „სამეფო კლუბში" „რივერ პლეიტიდან" მივიდა და ხუთწლიანზე მოაწერა ხელი.

ორივე ფეხბურთელი გუნდთან ერთად სეზონისწინა შეკრებაზე გაემგზავრება. მადრიდის „რეალი" ამ თვის ბოლოს ამერიკაში და აზიაში „გასეირნებას" გეგმავს.

ამასობაში, „ვალენსიამ" ორი ვერა, მაგრამ ერთი ურუგვაელი კი გადაიბირა — „ფენიქსის" ნახევარმცველი ფაბიან ესტოიანოფი „ღამურებმა" ხუთწლიან კონტრაქტზე დაითანხმეს, მაგრამ პირველ სეზონში „კადისში" გაანათხოვრებენ, რომელიც პრიმერადივიზიონში ალზევდა.

ვაჟა ხუციშვილი





„რეალის" ურუგვაელი ახალწვეულები — პაბლო გარსია და კარლოს დიოგო



ატილიო ტესერი სერია A-ს გუნდს პირველად გაწვრთნის

# არიგონი ოჯახს

## კალიარი ტესერს

**იტალიურ** „კალიარის" ახალი თავკაცი ჰყავს — მომავალი სეზონიდან გუნდს „ტრიესტინას" ყოფილი დამრიგებელი ატილიო ტესერი გაწვრთნის. 47 წლის სპეციალისტის ეს პირველი გამოცდა იქნება სერია A-ში.

სარდინიელთა ხელმძღვანელობამ ტესერს მიზნად უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება დაუსახა, ეს პროგრამა მინიმუმია. თავად სპეციალისტი იმედიანად არის და ქომაგებს ჰპირდება, რომ სულ ცოტა, გუნდი სერია A-დან გავარდნის საფრთხის ქვეშ არ დადგება.

გარდა ამისა, მალე „კალიარის" ხელმძღვანელობაშიც მოხდება ცვლილება. კლუბის ამჟამინდელი მმართველი მასიმო ჩელინო თავის ადგილს ვიცე-პრეზიდენტ ბრუნო ჯორარდის დაუთმობს.

რაც შეეხება სარდინიელთა ყოფილ თავკაც დანიელე არიგონის, იგი სავარაუდოდ, „ტორინოს" ნავარებს. ამ უკანასკნელს ოჯახთან ახლოს სურდა ყოფნა და სწორედ ამიტომ დატოვა „კალიარი". სერია A-ში დაბრუნებულ ტურინულ კლუბთან კი შეთანხმება თითქმის მიღწეულია.

გიორგი ძაძაბაძე

# გახსოვთ ანი?



იუნგ-ჰვან ანი კარიერას ფრანგულ „მეცში" გააგრძელებს

**მსოფლიოს** 2002 წლის ჩემპიონატზე იტალიის ნაკრების „მესაფლავე" სამხრეთკორეული იუნგ-ჰვან ანი ფრანგულ „მეცში" გადავიდა.

გეხსომებათ, სამი წლის წინ, კორეა-იაპონიაში გამართულ მუნდიალზე, მერვედფინალში იტალია სწორედ ანის „ოქროს გოლით" დამარცხდა. მაშინ ფეხბურთელი „პერუჯას" ეკუთვნოდა და პერუჯელთა პრეზიდენტი ლუჩანო გაუჩი ისე განრისხდა, რომ ანი იძულებული გახდა, იტალიიდან აბარგებულიყო.

სერია A-დან იაპონიის ჯეი ლიგის „შიმიცუში" გადავიდა. იქიდან კი შარშან „იოკოჰამაში" აღმოჩნდა.

ფეხბურთელის აგენტის განცხადებით, იუნგ-ჰვან ანი საფრანგეთშია და სამედიცინო შემოწმების შემდეგ „მეცთან" ერთწლიან კონტრაქტს გააფორმებს.

ვაჟა ხუციშვილი

# ᲠᲝᲑᲘᲜᲘᲝ ᲛᲐᲘᲐᲛᲘᲓᲐᲜ ᲛᲐᲓᲠᲘᲓᲨᲘ
## ᲚᲣᲨᲔᲛᲑᲣᲠᲒᲝ ᲗᲐᲦᲚᲘᲗᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲛᲮᲘᲚᲔᲡ



რობინიომ ფლორენტინო პერესი სასიამოვნოდ გააკვირვა

**ᲛᲐᲓᲠᲘᲓᲘᲡ** „რეალისა“ და „სანტოსის“ პრეზიდენტებმა გასული უქმეები მაიამიში გაატარეს. ალბათ თვითონაც მიხვდებით, რომ ორი კლუბის პატრონთა სასაუბრო თემა რობინიოს ტრანსფერი იყო. საქმე თითქმის გაჩარხულია და რობინიო ეგებ ხვალვე ჩაფრინდეს მადრიდში, რათა გუნდთან ერთად აზიურ ტურნეზე გაემგზავროს.

„სანტოსის“ პრეზიდენტი მარსელო ტეიშეირა 42 მილიონ ევროს ითხოვდა, მაგრამ, ფეხბურთელის აგენტის თქმით, დაახლოებით 27 მილიონზე შეთანხმდებიან.

ტეიშეირას რობინიოს გაშვება კიდევ ერთ წელს არ სურდა, თუმც კონფედერაციათა თასის გათამაშებიდან დაბრუნებული მეგოლე გაიფიცა და ვარჯიშებზე არ მივიდა — მადრიდის „რეალში“ გადასვლა მინდაო.

ფლორენტინო პერესმა ფეხბურთელს სიჯიუტე შეუქო: „21 წლისაა და 45 წლის გამოცდილი კაცივით მოიქცა. მისი საქციელი პატივსაცემია და კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, თუ რაოდენ სურს „რეალში“ თამაში“.

გუშინ ვწერდით, რომ ვანდერლეი ლუშემბურგომ აბარგება ურჩია იმას, ვინც მწვრთნელის წეს-კანონებს არ დაემორჩილება. ხოსე მარია გუტიზე თქვა, სათადარიგოთა სკამზე ჯდომა თუ არ მოსწონს, წავიდესო. ამ ყოველივემ კი ფეხბურთელის აგენტი ზორან ვუკიჩი გააბრაზა: „ლუშემბურგო სისულელეებს ლაპარაკობს. გუტი უკვე 18 წელია, „რეალშია“ და თავი არ დაუზოგავს. ბრაზილიელი მწვრთნელი უსამართლოდ ექცევა. თუ არ გჯერათ, ნახეთ გუნდის ვარჯიში. ზოგიერთი ფეხბურთელი ცხრაპირ ოფლს იღვრის, ზოგი კი დასეირნობს, მაგრამ ლუშემბურგო მათ არაფერს ეუბნება“.

**ᲛᲐᲪᲐ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ**

# ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲓᲐᲜ ᲡᲘᲛᲬᲕᲐᲜᲔᲨᲘ
## ᲰᲘᲓᲘᲜᲙᲘ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲨᲘ ᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲐ

**ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲘᲡ** ფეხბურთის ფედერაცია ეროვნული ნაკრებისთვის ახალ თავკაცს ეძებს. შეგახსენებთ, რომ ეს პოსტი კონფედერაციათა თასზე ოზების ცუდი გამოსვლის შემდეგ ფრენკ ფარინამ დატოვა.

კანდიდატი რამდენიმეა, მაგრამ რეალური და ცნობილი ჯერჯერობით მხოლოდ გუს ჰიდინკია. მასთან მოლაპარაკება უკვე დაწყებულია და ჰოლანდიელი სპეციალისტიც ავსტრალიელთა წინადადებით ერთობ დაინტერესებულია. მოგეხსენებათ, ჰიდინკი ამჟამად „პსვ ეინდჰოვენს“ უდგას სათავეში და გუნდის დატოვებას არც აპირებს, მაგრამ კონტრაქტის ერთ-ერთი პუნქტის თანახმად, მას უფლება აქვს, ნაკრების მწვრთნელობაც შეითავსოს.



გუს ჰიდინკმა შესაძლოა, ავსტრალიის ეროვნული გუნდი ჩაიბაროს

„შემიძლია, დავადასტურო, რომ გუს ჰიდინკი ერთ-ერთი იმათგანია, ვისთანაც მოლაპარაკებას ვაწარმოებთ. შეთანხმებისთვის არ მიგვიღწევია, მაგრამ სურვილი ორივე მხრიდან იგრძნობა. რაც შეეხებათ სხვა კანდიდატებს, ასეთი კიდევ ორია, მაგრამ მალე ალბათ ერთი დარჩება. ვცდილობთ, ისეთი მწვრთნელი შევარჩიოთ, რომელსაც დიდი გამოცდილება აქვს და შეუძლია, წარმატება მოგვიტანოს. ჰიდინკი ჩინებული სპეციალისტია და ჩვენს მოთხოვნებს აკმაყოფილებს“ — განაცხადა ავსტრალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ჯონ ონილმა.

ბოლოს კი შეგახსენებთ, რომ საკმაოდ გამოცდილ და ტიტულიან გუს ჰიდინკს სანაკრებო დონეზე ყველაზე დიდ წარმატებად 2002 წლის მუნდიალზე სამხრეთ კორეის ნაკრების მეოთხე ადგილზე გაყვანა ეთვლება.

**ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲫᲐᲫᲐᲑᲐᲫᲔ**

# ᲗᲣ ᲤᲣᲚᲘ ᲒᲐᲥᲕᲡ A-ᲨᲘ ᲮᲐᲠ, ᲗᲣ ᲐᲠᲐᲓᲐ...

**ᲘᲢᲐᲚᲘᲣᲠ** „მესინასა“ და „ტორინოს“ ფინანსური პრობლემები აქვთ, რაც მათ უმაღლესი ლიგიდან დაქვეითების საფრთხეს უქმნის. ჯერჯერობით კი, ეს კლუბები სერია A-ს წევრებად არ ითვლებიან, მაგრამ ამ განაჩენის გასაჩივრება დღეის ჩათვლით არის შესაძლებელი.

სავარაუდოდ, კლუბები შეძლებენ ფინანსური მდგომარეობის გამოსწორებას და სერია A-ში ადგილს შეინარჩუნებენ, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება 15 ივლისისთვის გახდება ცნობილი.

ვთქვათ ისიც, რომ სერია **B**-ში ამგვარი პროპლემა „პერუჯასა“ და „სალერნიტანას“ აქვთ, ხოლო სერია **C**-ში ერთბაშად 16 კლუბს. ეს ყველაფერი კი იმ საერთო მდგომარეობით არის გამოწვეული, რომელიც იტალიაში უკვე რამდენიმე წელია, პრობლემად იქცა. საუბარია კლუბების არასახარბიელო ფინანსურ მდგომარეობაზე, რაც ძირითადად სხვადასხვა სახის მაქინაციებმა განაპირობა.

ამ ყველაფერმა პრობლემები პატარა კლუბებთან ერთად ბობოლებსაც შეუქმნა. თუმცა ნელ-ნელა ვითარება გამოსწორების გზას ადგას, მაგრამ ბოლო დღეებში გავრცელებულმა ცნობებმა კვლავ გარკვეული კითხვის ნიშნები გააჩინა.

**ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲫᲐᲫᲐᲑᲐᲫᲔ**



ხარედ ბორგეტის ევროპული კლუბები ეპატიჟებიან

# ᲮᲐᲠᲔᲓᲘ ᲒᲕᲘᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲡ
## ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ ᲛᲔᲥᲡᲘᲙᲔᲚᲔᲑᲛᲐᲪ ᲘᲪᲘᲐᲜ

**ᲛᲔᲥᲡᲘᲙᲘᲡ** ნაკრების ფორვარდ ხარედ ბორგეტის, რომელიც უკვე რამდენიმე წელია, საფეხბურთო სამყაროს ყურადღებას იქცევს, გული ევროპისაკენ მიუწევს. მისით რამდენიმე კლუბია დაინტერესებული, მათ შორის სახელდება ფრანკფურტის „აინტრახტი“ და „ბოლტონი“. ცოტა ხნით ადრე 31 წლის თავდამსხმელის შეძენა ბერლინის „ჰერტასაც“ სურდა, მაგრამ გერმანელებმა მალევე გადაიფიქრეს.

ხარედ ბორგეტი: „ჰერტამ“ უკვე განაცხადა, რომ ჩემი ყიდვა არ სურს, თუმც წინადადება მეორე გერმანული კლუბისგან, „აინტრახტისგან“ მივიღე. ასევე აქტიურობს კიდევ ერთი გუნდი, რომლის წარმომადგენელთა თხოვნითაც მის ვინაობას არ გავამხელ. „პაჩუკასთან“ მოლაპარეკება დაწყებულია და ამ კვირაში ახალ ამბებს ველოდები. ჩემი აზრით, ევროპული კლუბები მიხვდნენ, რომ მექსიკელი ფეხბურთელები საკმაოდ მაღალი დონისანი არიან და მეც ამის დამტკიცება მსურს. ამ შანსს დიდ ხანია, ველი და შემიძლია, ვთქვა, რომ შესაძლებლობები ბოლომდე ჯერ კიდევ არ გამომივლენია. თუმც თუ ნორმალური პირობები და ყველასთვის მისაღები კონტრაქტი არ იქნება, „პაჩუკაში“ დავრჩები“.

ჩრდილოამერიკელი ფეხბურთელი ამჟამად ეროვნულ ნაკრებთან ერთად კონკაკაფის „ოქროს თასზე“ თამაშობს, რომლის დასრულების შემდეგაც მისი ტრანსფერის ამბავი ალბათ საბოლოოდ გადაწყდება. ჭორებს თუ ვენდობით, იგი მალე ინგლისში გაფრინდება და „ბოლტონის“ უფროსობას შეხვდება — თავური დარტყმების სპეციალისტად მიჩნეული ხარედ ბორგეტით კლუბის გაძლიერება „რიბოკის“ ბინადართა მწვრთნელ სემ ალარდაისს ძალიან სდომებია.

**ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲫᲐᲫᲐᲑᲐᲫᲔ**

# ᲠᲝᲛᲐᲛ ᲞᲔᲚᲘᲪᲝᲚᲘ ᲛᲝᲘᲨᲝᲠᲐ

**ᲔᲠᲗ ᲓᲠᲝᲡ** იტალიის ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ და „რომას“ პირველ ნომრად მიჩნეულ მეკარე ივან პელიცოლის დედაქალაქურმა კლუბმა ურჩია, სხვა გუნდი მოძებნოს.

„სიამოვნებით დავრჩებოდი, მაგრამ გუნდს აღარ ვჭირდები. მათ გადაწყვიტეს, აქცენტი ჯანლუკა კურჩიზე გადაიტანონ. მე ძირითად შემადგენლობაში გარანტირებულ ადგილს არ ვითხოვდი. უბრალოდ, მინდოდა, ამის შანსი მქონოდა. ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც აქამდე წასვლა არ მიფიქრია, ჩვენი ახალი მწვრთნელი ლუჩანო სპალეტია. ვიცი, რომ იგი არაფერ შუაშია. ეს კლუბის არჩევანია“ — განაცხადა დაღონებულმა პელიცოლიმ.



ივან პელიცოლო

„რომას“ გადაწყვეტილებით განაწყენებულ მეკარეს სავარაუდოდ, ახალი კლუბის ძიება დიდხანს არ მოუწევს. მისი დამატება „რეჯინას“ სურს და გოლკიპერის თანხმობის შემთხვევაში ყველაფერი მალე მოგვარდება.

ივან პელიცოლი: „რაკი კლუბმა ასეთი მოულოდნელი ნაბიჯი გადადგა, ცხადია, ახალ გუნდზე მომიწევს ფიქრი. მსურველები უკვე არიან. განსაკუთრებით „რეჯინა“ აქტიურობს, რომლის უფროსობასაც ვესაუბრე და გადაწყვეტილებაც თითქმის მივიღე. ალბათ, „რეჯინაში“ ვითამაშებ“.

**ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲫᲐᲫᲐᲑᲐᲫᲔ**

# ფუფუნება და მუქარა

## რატომ არ ესვრიან მანჩესტერელებს ბოთლებს?

*„ჩელსის“ მწვრთნელმა ჟოზე მაურინიუმ მეტოქეებს შეუთვალა, გაძლიერდით, თორემ მომავალ სეზონშიც იგივე გელითო*



ჟოზე მაურინიუ ძლიერ კონკურენტებს ვერ ხედავს

**მაინც** რა ელით „ჩელსის“ მეტოქეებს? მოგეხსენებათ, „ლურჯებმა“ პრემიერლიგის ტიტული შთამბეჭდავად, თორმეტქულიანი უპირატესობით მოიგეს და ახალ სეზონშიც საყოველთაოდ გახლავან ფავორიტებად შერაცხულნი. თავს ფავორიტად მიიჩნევს მაურინიუც, რომელმაც ზემოთ მოყვანილი გამოწვევა, ბუნებრივია, უპირველეს ყოვლისა „არსენალსა“ და „მანჩესტერ იუნაიტედს“ გაუგზავნა. მან თქვა:

„ახლა უკვე ყველა გუნდმა იცის, რომ ძალიან ძლიერები ვართ და ამიტომ, აუცილებლად უნდა გაძლიერდნენ. თუ ისინი ისეთივენი დარჩებიან, როგორებიც გასულ სეზონში იყვნენ, შანსი არ ექნებათ“.

მაურინიუს დღესაც ვერ დაუჯერებია, სეზონის ბოლო მატჩის დამთავრების შემდეგ „მანჩესტერ იუნაიტედმა“ „ოლდ ტრეფორდს“ საპატიო წრე რომ შემოურბინა. მანჩესტერელებმა ხომ ვერანაირი ტიტული ვერ მოიგეს.

„ჩემთვის ეს გაუგებარია, რადგან მსგავსი რამ პორტუგალიაში რომ გაეკეთებინათ, ტრიბუნებიდან ბოთლებს ესროდნენ. ამ სეზონში კი ვიცი, ძალიან დიდი სიძნელეები გველის, მაგრამ ვფიქრობ პირველად გამარჯვება ტიტულის დაცვაზე ძნელია“.

საინტერესოა, რომ ჟოზე მაურინიუ, როგორც თავად ამტკიცებს, სეზონის დასრულების შემდეგ უგუნებოდ იყო, რადგან მხოლოდ ორი ჯილდო მოიგო, ოთხივეს კი ვერ შესწვდა.

„სეზონის დაწყების წინ ყველა ჯილდოს მოგებას ვაპირებ-ხოლმე და ვინაიდან გასულ სეზონში ასე არ მოხდა, უკმაყოფილო დავრჩი“.

ისე კი კლუბის მეპატრონის, რომან აბრამოვიჩის ფულის წყალობით „ჩელსის“ მართლაც დიდი ფუფუნების საშუალება აქვს. აბა, სხვა რა შეიძლება ეწოდოს იმას, რომ მაურინიუმ გვარიანად ნიჭიერ და საყოველთაოდ მოწონებულ ჯო კოულს განუცხადა, ძირითად შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული არ გაქვს, ხშირად შეიძლება ზედმეტიც კი აღმოჩნდეო.

საქმე ისაა, რომ ახალ სეზონში კოულს არიენ რობენთან და დემიენ დაფთან მოუწევს კონკურენცია. ამასთან, აღსანიშნავია, რომ საქმეში შეიძლება ლურჯთა შესაძლო ახლები, შონ რაიტ-ფილიპსი და მიკაელ ესიენიც ჩაერიონ.

„ძალიან ძნელია, მოედანზე ერთდროულად ათამაშო კოული, რობენი და დაფი. ცხადია, ვიცი რომ, კოულს შუა მოედანშიც შეუძლია თამაში. მეორე მხრივ კი გუნდს შეტევაში სიმწვავე რომ არ დააკლდეს, ამ სამეულიდან ორი აუცილებლად მოედანზე უნდა იყოს. მოკლედ, შემადგენლობაში მოსახვედრად დიდი კონკურენციაა და ეს კონკურენცია ჩვენ გვჭირდება“.

ამ საკითხზე 23 წლის კოული ასე ამბობს: „მზად ვარ, ჩემს პოზიციაზე ნებისმიერს გავეჯიბრო. მზად ვარ, სეზონი დავიწყო და ვიცი, რომ მის მეტ ნაწილს ძირითად შემადგენლობაში გავატარებ“.

**პაპუნა ძიდია**



ემრე ბელოზოღლუ

# ნიუკასლს თურქი ბექემი ეყოლება

**ინგლისურმა** „ნიუკასლმა“ თითქმის მოახერხა ევროპის ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ გოლკიპერად მიჩნეული ტიმ კრულის ხელში ჩაგდება. ტრანსფერის ოფიციალურად გაფორმება კვირის ბოლომდე იგეგმება.

17 წლის ჰოლანდიელს „დენ ჰაგთან“ პროფესიული კონტრაქტი არა აქვს გაფორმებული და სხვა კლუბში გადასვლა თავისუფალი აგენტის სტატუსით შეუძლია. „კაჭკაჭებს“ მხოლოდ მისი გაწვრთნისა და აღზრდისთვის დახარჯული თანხის კომპენსირება მოუწევთ, რომელიც დაახლოებით 200 ათას ევროს შეადგენს.

„სენტ ჯეიმს პარკის“ ბინადრები საცაა, ემრე ბელოზოღლუსაც შეიძენენ, რასაც საკმაო ხანია ცდილობენ.

„ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ, მიზანს ძალიან მივუახლოვდით. ემრე ჩინებული ფეხბურთელია, სამშობლოში მას გმირად თვლიან. შეიძლება, იგი თურქეთის დევიდ ბექემადაც ჩავთვალოთ. მას ქვეყნის პრემიერ-მინისტრმაც კი დაურეკა და თურქეთში დაბრუნება სთხოვა, თუმც ემრეს ინგლისში სურს თამაში და ჩვენ მას პრემიერლიგაში ჩამოვიყვანთ“ — განაცხადა „ჯორდია“ პრეზიდენტმა ფრედი შეპარდმა.

ბოლოს კი ამ ზაფხულის „ნიუკასლის“ მთავარ შენაძენზე, სკოტ პარკერზეც ვთქვათ. „ჩარლტონისა“ და „ჩელსის“ ყოფილმა ვარსკვლავმა ტრავმა კი მოიშუშა, მაგრამ „კაჭკაჭთა“ ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, იგი ინტერტოტოს თასზე არ ითამაშებს და მისი ჯორდული დებიუტი პრემიერლიგის დაწყებამდე გადაიდება.

„გადავწყვიტე, სკოტს სარეაბილიტაციოდ, რაც შეიძლება, მეტი დრო მივცე. აჯობებს, მან ინტერტოტოს თასზე არ ითამაშოს და დაისვენოს. ჩვენთვის მთავარი პრემიერლიგაა და სეზონის დაწყებამდე კარგად უნდა მოვემზადოთ“ — თქვა „ნიუკასლის“ თავკაცმა გრემ სუნესმა.

**გიორგი ძაძამიძე**

*გლაზგოს „სელტიკის“ ახალი თავკაცი გორდონ სტრაჩანი მომავალი სეზონისთვის აქტიურად ემზადება და, ცხადია, გუნდის გაძლიერებაზე ფიქრობს. შოტლანდიის ვიცე-ჩემპიონები ბევრ ფეხბურთელს უტრიალებენ, მაგრამ ამჟამად მათი ყურადღების ცენტრში „რეჯინას“ იაპონელი ვარსკვლავი შუნსუკე ნაკამურა და „საუთჰემპტონის“ ფინელი კარის დარაჯი ანტი ნიემი არიან*

# სტრაჩანი ანტის ეძახება

## სელტიკის იაპონური სამიზნე

**ნაკამურათი**, რომლის „რეჯინადან“ წასვლა გადაწყვეტილია, ძალიან დაინტერესებულნი არიან ესპანური „დეპორტივო“ და „ატლეტიკო“. აქამდე ყველამ ასე იცოდა, რომ აზიელი კარიერას პირინეებზე გააგრძელებდა, მაგრამ ახლა საქმეში „სელტიკი“ ჩაერია და, როგორც ამბობენ, საცაა ტრანსფერიც გაიხერხება. გლაზგოელები მზად არიან, 26 წლის შემტევ ნახევარმცველში 3 მილიონი გირვანქა გადაიხადონ და „რეჯინასაც“ ეს თანხა აკმაყოფილებს. თუმცა, უფრო დეტალურად ყველაფერი უახლოეს დღეებში გაირკვევა.

რაც შეეხება ანტი ნიემს, მას „საუთჰემპტონის“ პრემიერლიგიდან გავარდნის შემდეგ, გუნდის გამოცვლა უნდა და ამჟამად რამდენიმე წინადადებას განიხილავს. მას ყველაზე მეტად სწორედ „სელტიკში“ სურს გადაბარგება. 33 წლის ფინელს შოტლანდიაში თამაშის გამოცდილება უკვე აქვს — „წმინდანებში“ გადასვლამდე იგი „ჰართსის“ კარს იცავდა.

ეტყობა, მხარეები ფეხბურთელის ფასზე ვერ თანხმდებიან. გავრცელებული ცნობით, ინგლისური კლუბი 2,5 მილიონ გირვანქას ითხოვს. აქვე შეგახსენებთ, რომ გორდონ სტრაჩანი ბოლოს სწორედ „საუთჰემპტონს“ წვრთნიდა და ფინელისადმი დიდი სიმპათიით არის განწყობილი.

ანტი ნიემი: „სელტიკის“ ინტერესი ძალიან მახარებს და შოტლანდიაში სიამოვნებით დავბრუნდებოდი. უბრალოდ, ახლა უნდა დაველოდოთ. იმედია, შეთანხმება შედგება“.

**გიორგი ძაძამიძე**

# ფიგუ ლივერპულში?

## საკი-თხავი აი, ეს არის

**მსოფლიოს** 2001 წლის საუკეთესო ფეხბურთელი ლუიშ ფიგუ აცხადებს, რომ მადრიდის „რეალიდან“ „ლივერპულში“ უნდა გადასვლა.

32 წლის პორტუგალიელს კონტრაქტის თანახმად, მადრიდელებთან ერთწლიანი ურთიერთობა აქვს დარჩენილი, მაგრამ ამბობენ, რომ პატივისცემის ნიშნად, „რეალის“ ხელმძღვანელები მას ამთავითვე აძლევდნენ თავისუფალი აგენტის სტატუსით წასვლის უფლებას. თუმცა, რა მოხდება ახლა, როდესაც საქმეში „ლივერპული“ ჩაერია, უცნობია.

ფიგუ ამბობს: „თუკი კლუბს სამომავლო გეგმაში არ ვყავარ, მაშინ რაღად ვუნდივარ და რატომ არ უნდა გამიშვას, გაუგებარია. მოკლედ, თითქოს ამ მხრივ ყველაფერი ნათელია, მაგრამ ჩემი საქმე მაინც ჰაერშია და გარკვევით ვერაფერს ვამბობ. დიახ, „ლივერპულში“ გადასვლაზე ვოცნებობ, მაგრამ ოცნებები ყოველთვის არ ხდება“.

როგორც ირკვევა, ლივერპულელებს პორტუგალიელთან უკვე უსაუბრიათ და საკონტრაქტო პირობებზეც მოლაპარაკებულან, მაგრამ ახლა „რეალის“ პასუხს ელიან. თუ მადრიდელები ინგლისელებს 2 მილიონ გირვანქას მოსთხოვენ, მაშინ ვითარება ერთნაირი იქნება, ხოლო თუ არა, მეორენაირი.

მოგეხსენებათ, „ლივერპულის“ მწვრთნელმა რაფა ბენიტესმა განაცხადა, რომ ახლა მათ მხოლოდ ცდაღა შეუძლიათ.

მაშ, ვინ და რა უშლის, ფაქტობრივად, მოკვარახჭინებული საქმის დაგვირგვინებას ხელს? ვინ და „რეალის“ სპორტულ საქმეთა გამრიგე, ცნობილი იტალიელი მწვრთნელი არიგო საკი, რომელიც კატეგორიულად აცხადებს, რომ ფიგუს, რომელსაც „რეალთან“ კიდევ ერთი ოფიციალური წელიწადი აკავშირებს, კომპენსაციის თანახმად არსად გაუშვებს. და კიდევ:

„ოფიციალურად „ლივერპულისგან“ არანაირი ქაღალდი არ მიგვიღია. ასე რომ, ლუიში ჩვენთან რჩება და კონტრაქტის პირობებს ასრულებს“ — ამბობს საკი.

ფიგუს „ლივერპულში“ გადასვლა კი ძალიან გაახარებდა ამ გუნდის ახალშენაძენს, ჰოლანდიელ ბუდევინ ზენდენს, რომელსაც პორტუ-



ლუიშ ფიგუ

გალიელთან ერთ გუნდში თამაშის გამოცდილება ჯერ კიდევ „ბარსელონადან“ აქვს.

„შეუძლებელია, არსებობდეს გუნდი, რომელსაც ფიგუს ყოლა არ უნდა. ბუნებრივია, მე არავინ მეკითხება, მაგრამ თუ ლუიში ჩვენთან გადმოვა, აქაურები ერთ-ორ კვირაში მიხვდებიან, თუ ვინ დაიმატეს“ — თქვა ზენდენმა.

**პაპუნა ძიდია**



მიხაელ ბალაკი „ბაიერნიდან“ წასვლას ლამობს

# მიუნხენში ბალაკს აბამენ
## მალე ქენი, მიშა!

**გერმანიის** ნაკრებისა და „ბაიერნის“ ლიდერ მიხაელ ბალაკს ჯერ კიდევ ვერ გადაუწყვეტია, გამოიცვალოს თუ არა კლუბი. ცოტა ხნის წინ იგი უფრო წასვლისკენ იხრებოდა და კარიერის სხვა ქვეყანაში გაგრძელება სურდა, მაგრამ მიუნხენელთა ხელმძღვანელობა ყველანაირად ცდილობს მის შენარჩუნებას.

„ბაიერნის“ მმართველი ული ჰიონესი თვლის, რომ 28 წლის ნახევარმცველი „ალიანს არენაზე“ დარჩება. გარდა ამისა, ჰიონესმა უარყო ინფორმაცია, თითქოსდა „მანჩესტერ იუნაიტედმა“ მიუნხენურ კლუბს წინადადებით მიმართა. არადა, პრესაში დღემდე ვრცელდება ცნობები, ბალაკის შეძენა ყველაზე მეტად „წითელ ეშმაკებს სურთო.

„მიხაელმა იცის, რომ მისი შემდგომი კონტრაქტი ძალიან მნიშვნელოვანია და ცდილობს, რაც შეიძლება, უკეთესი პირობებზე დაგვიყოლიოს. ეს ჩვენთვის გასაგებია. იგი ოჯახთან ერთად მიუნხენში თავს კარგად გრძნობს და არა მგონია, წასვლა მართლა უნდოდეს. ბალაკი დიდი გუნდის წევრი და ქომაგების ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი ფეხბურთელია“ — თქვა ჰიონესმა.

მიუნხენელთა თავკაცი ფელიქს მაგათი კი ორივე მხარეს აჩქარებისკენ მოუწოდებს. მას ეშინია, რომ ახალი სეზონის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე, გუნდი ლიდერის გარეშე არ დარჩეს.

ფელიქს მაგათი: „მიხაელ ბალაკმა იცის, რომ იგი გუნდისთვის უბრალო ფეხბურთელი არ არის. იგი ლიდერია და ამიტომ ვთხოვ, გადაწყვეტილება მალე მიიღოს, რადგანაც თუ წასვლას არჩევს, შემცვლელის მოსაძებნად დრო დაგვჭირდება. ხელმძღვანელობასაც მოვუწოდებ, ვითარებაში მალე გაერკვეს“.

**გიორგი ძაძაბაძე**

# ელ ჰაჯის ქაჯობა
## ფადიგა მიკროფონში, ცოლი ჰოსპიტალში

*სენეგალელ ელ ჰაჯი დიუფს სასამართლოში სტუმრობა მოუწევს, რადგან ხალილუ ფადიგას ნაცოლარის ცემას აბრალებენ. ამბავი კი დაკარში, ღამის კლუბში მომხდარა*

**ფადიგას** ნაცოლარმა აიჩა ბამ თქვა: „ყოველთვის, როცა დიუფი ბარში მხვდებოდა, ჩემი და ხალილუს პრობლემებზე მელაქლაქებოდა. ჩვენს ურთიერთობას მასხრად იგდებდა. მიკროფონთან მიდიოდა და „ფადიგა ფადიგას“ გაჰკიოდა, რათა ჩემთვის ნერვები აეშალა. დიუფისთვის მანამდე არასოდეს გამიცია პასუხი, მაგრამ ბოლოს ყელში ამომივიდა. როცა კლუბში დასთან ერთად ვიყავი, დიუფმა და მისმა დამქაშებმა ისე გვცემეს, საექიმოები გავხდით. იძულებული ვიყავი, პოლიციაში გამეცხადებინა და საკადრისად თუ დასჯიან, მგონი, ძალიან ბევრი გაიხარებს“.



ელ ჰაჯი დიუფი

ელ ჰაჯი დიუფი: „აიჩა ბას მონათხრობი ტყუილია. დაკარში ვისაც არ ეზარება, ყველა ჩემზე ჭორაობს“.

ჩხუბის თაობაზე დიუფს რადიოინტერვიუშიც ჰკითხეს, რაზეც მან მიუგო: „იმ ქალს არ ვიცნობ. მე მხოლოდ ფეხბურთზე შემიძლია გესაუბროთ“. სენეგალელმა ფეხბურთელმა ინტერვიუში ისიც უარყო, რომ პოლიციას დაკითხვაზე ჰყავდა, საცოდავი აიჩა ბა კი ისე ყოფილა ნაცემი, ექიმს მისთვის 24-დღიანი უქმობა გამოუწერია.

გეცოდინებათ, მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატზე კარგი თამაშის შემდეგ ელ ჰაჯი დიუფი ოთხჯერ გაეხვა შარში. ჯერ „სელტიკის“ ფანის, შემდეგ კი „პორტსმუთის“ კაპიტან არიან დე ზეუვის მიფურთხებისთვის დასაჯეს. მასვე აბრალებდნენ „მიდლსბროსა“ და „ვესტ ჰემის“ ქომაგებთან „აქლემობას“, მაგრამ ეს უკვე აღარ დაუმტკიცდა.

**გაგა ხუციშვილი**

# ვალერიანის წვეთი ბაიერნში

*ორი წლის წინ, „კრისტალ პალასიდან“ ბრემენის „ვერდერში“ გადასული ვალერიან ისმაელი პირველივე სეზონში ბუნდესლიგის ერთ-ერთ საუკეთესო მცველად აღიარეს. ფრანგი ფეხბურთელი თომას შააფის გუნდის ძირითად შემადგენლობაში უმალ ჩაეწერა და „ვერდერთან“ ერთად ბუნდესლიგაც მოიგო და გერმანიის თასიც.*

*ამიტომაცაა, მიუნხენის „ბაიერნის“ მზვერავებს ვალერიან ისმაელის კარგი თამაში შეუმჩნეველი რომ არ დარჩენიათ, ფელიქს მაგათს ცენტრალური მცველი სჭირდებოდა და ტრანსფერიც უმალ გაიჩარხა — ვალერიან ისმაელმა მიუნხენურ კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა, ხოლო „კიკერთან“ ინტერვიუში მომავალზე ისაუბრა*



**— პრესაში თქვენი გამონათქვამების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, „ბაიერნში“ თამაშზე ოცნებობდით და აგიხდათ...**

— ასეა, მაგრამ ახლა, როცა უკვე „ბაიერნის“ მაისურა მაცვია, სხვა მიზნები მაქვს. კვლავ ჩემპიონობა მსურს, ისევე, როგორც ეს „ვერდერში“ იყო. მთავარი მიზანი კი ჩემპიონთა თასია, რაზეც ბავშვობიდან ვოცნებობ.

**— ფიქრობთ, რომ „ბაიერნთან“ ერთად ჩემპიონთა ლიგას მოიგებთ?**

— ძალიან მეიმედება. ჩვენ საკმაოდ ძლიერი გუნდი გვყავს. „ბაიერნის“, „რეალის“, „იუვენტუსისა“ და „მანჩესტერის“ დონის გუნდებმა იციან, ეს ტურნირი როგორ მოიგონ.

**— „ვერდერმა“ არ იცის?**

— ამას არ ვამტკიცებ, მაგრამ „ლიონთან“ მერვედფინალში 0:3 და 2:7 წაგებამ გვაჩვენა, რომ „ვერდერი“ ასეთ ტურნირში გამარჯვებისთვის მზად არაა.

**— ჯერ კიდევ გაზაფხულზე განაცხადეთ, „ბაიერნში“ გადასვლა მსურსო. არ გეშინოდათ, რომ ამით ბრემენულ კლუბს გაანაწყენებდით?**

— გიჟი ხომ არ ვარ, უსაფუძვლო განცხადებები ვაკეთო. მიუნხენელებთან მოლაპარაკება თითქმის მთელი გასული სეზონის განმავლობაში მიმდინარეობდა.

**— გამოდის, რომ ეს ტრანსფერი უკვე ერთი წლის წინ გადაწყდა?**

— დიახ. „ბაიერნში“ გადასვლის სურვილი არასოდეს დამიმალავს.

**— „ვერდერს“ შეეძლო ამ გარიგების ჩაშლა?**

— მცირე პრობლემები შეიქმნა, მაგრამ ბრემენელების მადლიერი ვარ, რადგან საბოლოოდ ხელი არ შემიშალეს.

**— წარმოიდგინეთ, როგორ შეგიძულებენ „ვერდერის“ ფანები, მათი გუნდი „ბაიერნზე“ რომ გაცვალე-**

— ქომაგებისა და საკუთარი სინდისის წინაშე სუფთა ვარ. „ვერდერში“ თავი არ დამიზოგავს და მსხვერპლიც გავიღე. მგონი, ჩემთან პრეტენზია არ უნდა ჰქონდეთ.

**— რა მსხვერპლი?**

— ბრემენში პირველ სეზონი ოჯახის გარეშე გავატარე და ძალიან გამიჭირდა. ამის თაობაზე კლუბის პატრონთან არასოდეს მიწუწუნია.

**— მომავალ სეზონში „ვერდერი“ „ბაიერნს“ საკადრის მეტოქეობას გაუწევს?**

— ყველაფერი შესაძლებელია. „შალკესთვის“, „შტუტგარტისთვის“, „ლევერკუზენისთვის“ თუ „ვერდერისთვის“ „ბაიერნის“ დამარცხება განსაკუთრებულად ფასობს, მაგრამ ჩვენ შევეცდებით, რომ პირველობა არავის დავუთმოთ.

**— უკვე ერთი კვირაა, ახალ გუნდთან ერთად შეკრებაზე ხართ. აქაური საწვრთნელი პროცესი „ვერდერისგან“ რითი განსხვავდება?**

— სავარჯიშო პროცესი აქ უფრო მაღალ დონეზეა, რადგან „ბაიერნი“ მხოლოდ ჩემპიონობაზე ფიქრობს. განსხვავება აშკარად იგრძნობა. მეტი ყურადღება ექცევა ფიზიკურ მომზადებას, კუნთების „დაბერვას“, ხოლო „ვერდერში“ აქცენტი მოძრაობაზე იყო გადატანილი. ფიზიკურად ძლიერი თუ ხარ, პრობლემა არ შეგექმნება.

**— მნიშვნელობა არა აქვს, რომელი ფორვარდის წინააღმდეგ ითამაშებ? მაგალითად, დიდიე დროგბას „დაჭერა“ „ბაიერნის“ მცველებს ძალიან გაუჭირდათ...**

— იან კოლერის წინააღმდეგ მითამაშია და ვიცი, ასეთი ახმახები როგორ უნდა „ავიყვანო“.

**— რატომ ხართ დარწმუნებული, რომ „ბაიერნში“ კონკურენციას გაუძლებთ? ამ გუნდს დაცვის ცენტრში შესანიშნავი წყვილი — ლუსიო და დემიკელისი ჰყავს...**

— „ბაიერნი“ ჩემს გამო ძალიან დაიხარჯა და არა მგონია, სათადარიგოთა სკამის მხეხავად გამიმეტონ. მათ იციან ჩემი სათამაშო ყაიდა და აქაც უმაღლეს დონეზე შევასრულებ იმას, რასაც „ვერდერში“ ვაკეთებდი.

**— თქვენ შეტევებში ჩართვა კარგად გეხერხებათ, ისევე როგორც ლუსიოს. ეს ნიშნავს, რომ „ბაიერნის“ დაცვა კიდევ უფრო შემტევი გახდება.**

— მე და ლუსიო საკმაოდ გამოცდილები ვართ და წარამარა მეტოქის საჯარიმოში სტუმრობას არ ვაპირებთ. შეტევაში ერთმანეთს შევენაცვლებით.

**— რა არის სრულიად ახალი თქვენთვის „ბაიერნში“?**

— კლუბის სტრუქტურა, სტადიონი, ხალხი. კიდევ ის, რომ „ვერდერში“ მარჯვენა ცენტრალური მცველი ვიყავი, აქ კი მარცხნივ ვითამაშებ.

**— რას უნდა მიაღწიოს სეზონის ბოლოს ვალერიან ისმაელმა, რომ კმაყოფილი დარჩეს?**

— დარწმუნებული ვარ, საუცხოო სეზონი გვექნება. მსურს, მოვიგო ყველაფერი, რისი მოგებაც „ბაიერნთან“ ერთად შეიძლება და ვიმედოვნებ, რომ საფრანგეთის ნაკრებში ჩემი ადგილი გამოიძებნება.



ვალერიან ისმაელი (შუაში) „ბაიერნში“ ფელიქს მაგათმა მიიწვია

# წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ავსტრია. ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **12 ივლისი** | | | | | | |
| 21:30 | 1 | გრაცერი-ზალცბურგი | 2.20 | 3.00 | 2.90 | 1.26 | 1.25 | 1.47 |
| | | **13 ივლისი** | | | | | | |
| 21:30 | 2 | რაპიდი-შტურმი | 1.50 | 3.70 | 5.00 | 1.06 | 1.15 | 2.12 |
| 21:30 | 3 | რიდი-ტიროლი | 2.10 | 3.00 | 3.10 | 1.23 | 1.25 | 1.52 |
| 21:30 | 4 | მატერსბურგი-პაშინგი | 2.10 | 3.00 | 3.10 | 1.23 | 1.25 | 1.52 |
| 21:30 | 5 | ადმირა-აუსტრია | 3.50 | 3.10 | 1.90 | 1.64 | 1.23 | 1.17 |
| | | **ავსტრია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **15 ივლისი** | | | | | | |
| 21:00 | 6 | კაფენბერგი-ალტახი | 1.65 | 3.40 | 4.30 | 1.11 | 1.19 | 1.89 |
| 21:00 | 7 | გრატკორნი-ლეობენი | 2.40 | 3.10 | 2.65 | 1.35 | 1.25 | 1.42 |
| 21:00 | 8 | კუფშტაინი-შვანენშტადტი | 2.35 | 3.10 | 2.70 | 1.33 | 1.25 | 1.44 |
| 21:30 | 9 | აუსტრია(ლ)-ლინცერი | 2.40 | 3.20 | 2.60 | 1.37 | 1.24 | 1.43 |
| 21:00 | 10 | კერნტენი-აუსტრია(მ) | 1.60 | 3.40 | 4.80 | 1.08 | 1.20 | 1.99 |
| | | **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **13 ივლისი** | | | | | | |
| 21:30 | 11 | ქსამაქსი-იანგ ბოიზი | 2.50 | 3.10 | 2.50 | 1.38 | 1.25 | 1.38 |
| | | **16 ივლისი** | | | | | | |
| 21:30 | 12 | გრასჰოპერი-ივერდონი | 1.45 | 3.80 | 5.50 | 1.04 | 1.14 | 2.24 |
| 21:30 | 13 | სტ.გალენი-ციურიხი | 2.30 | 3.10 | 2.70 | 1.32 | 1.24 | 1.44 |
| 21:30 | 14 | თუნი-აარაუ | 1.60 | 3.50 | 4.80 | 1.09 | 1.20 | 2.02 |
| 21:30 | 15 | ბაზელი-შაფჰაუზენი | 1.25 | 4.50 | 9.00 | 1.00 | 1.09 | 3.00 |
| | | **შვეიცარია. ჩელენჯლიგა** | | | | | | |
| | | **15 ივლისი** | | | | | | |
| 21:30 | 16 | ბადენი-ლუგანო | 2.80 | 3.10 | 2.20 | 1.47 | 1.23 | 1.28 |
| 21:30 | 18 | კონკორდია-იუვენტუსი | 1.70 | 3.30 | 4.50 | 1.12 | 1.23 | 1.90 |
| | | **16 ივლისი** | | | | | | |
| 21:30 | 19 | ლოკარნო-შო დე ფონი | 1.90 | 3.20 | 3.50 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| 21:30 | 20 | კიასო-ბელინცონა | 1.85 | 3.20 | 3.60 | 1.17 | 1.22 | 1.69 |
| 21:30 | 22 | სიონი-ლუცერნი | 1.75 | 3.30 | 4.00 | 1.14 | 1.21 | 1.80 |
| 21:30 | 23 | კრინსი-ვოლენი | 1.90 | 3.30 | 3.50 | 1.20 | 1.23 | 1.69 |
| 21:30 | 24 | ლოზანა-ვინტერთური | 1.85 | 3.30 | 3.70 | 1.18 | 1.23 | 1.74 |
| | | **17 ივლისი** | | | | | | |
| 18:00 | 17 | ვადუცი-მეირინი | 1.45 | 3.80 | 5.50 | 1.04 | 1.14 | 2.24 |
| 16:30 | 21 | ბოლში-ვილი | 2.10 | 3.10 | 3.10 | 1.25 | 1.25 | 1.54 |
| | | **სლოვაკეთი** | | | | | | |
| | | **16 ივლისი** | | | | | | |
| 20:00 | 33 | ბ.ბისტრიცა-ტრენჩინი | 1.55 | 3.50 | 5.00 | 1.07 | 1.18 | 2.05 |
| 20:00 | 35 | ჟილინა-ნიტრა | 1.45 | 3.60 | 6.40 | 1.03 | 1.18 | 2.30 |
| 20:00 | 36 | რუჟომბეროკი-ინტერი | 1.85 | 3.20 | 3.60 | 1.17 | 1.22 | 1.69 |
| 20:00 | 37 | პეტრჟალკა-ტრნავა | 1.50 | 3.50 | 5.50 | 1.04 | 1.17 | 2.13 |
| | | **ფინეთი** | | | | | | |
| | | **13 ივლისი** | | | | | | |
| 20:00 | 63 | როვანიემი-ლაჰტი | 2.70 | 3.20 | 2.30 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| 20:00 | 64 | ტამპერე-ჰიკ | 2.25 | 3.20 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.50 |
| | | **ისლანდია** | | | | | | |
| | | **12 ივლისი** | | | | | | |
| 23:15 | 72 | თროტური-აკრანესი | 2.80 | 3.10 | 2.25 | 1.47 | 1.24 | 1.30 |
| 23:15 | 73 | გრინდავიკი-ვალური | 3.50 | 3.20 | 1.90 | 1.67 | 1.23 | 1.19 |
| | | **ირლანდია** | | | | | | |
| | | **15 ივლისი** | | | | | | |
| 22:30 | 79 | უოტერფორდი-ბრეი | 2.05 | 3.10 | 3.20 | 1.23 | 1.24 | 1.57 |
| 22:45 | 80 | დროგედა-კორკი | 3.10 | 3.00 | 2.10 | 1.52 | 1.25 | 1.23 |
| 22:45 | 81 | დუბლინი-სტ.პატრიკსი | 2.05 | 3.10 | 3.20 | 1.23 | 1.24 | 1.57 |
| 22:45 | 82 | შემროკი-დერი | 2.65 | 3.00 | 2.35 | 1.40 | 1.24 | 1.31 |
| | | **16 ივლისი** | | | | | | |
| 22:45 | 83 | ჰერპსი-ბოჰემიანი | 3.00 | 3.10 | 2.10 | 1.52 | 1.23 | 1.25 |
| | | **იაპონია** | | | | | | |
| | | **13 ივლისი** | | | | | | |
| 14:00 | 84 | შიმიცუ-ტოკიო | 1.85 | 3.20 | 3.60 | 1.17 | 1.22 | 1.69 |
| 14:00 | 85 | ვერდი-კობე | 1.80 | 3.30 | 3.60 | 1.16 | 1.20 | 1.72 |
| 14:00 | 86 | იოკოჰამა-იჩიჰარა | 1.80 | 3.20 | 3.80 | 1.15 | 1.22 | 1.73 |
| 14:00 | 87 | ომია-კავასაკი | 2.10 | 3.10 | 3.05 | 1.25 | 1.24 | 1.53 |
| 14:00 | 88 | ჰიროსიმა-ივატა | 2.20 | 3.00 | 2.90 | 1.26 | 1.25 | 1.47 |
| 14:00 | 89 | ჩერეძო-ნიიგატა | 1.90 | 3.20 | 3.40 | 1.19 | 1.21 | 1.64 |
| 14:00 | 90 | კაშივა-ურავა | 3.20 | 3.10 | 2.00 | 1.57 | 1.23 | 1.21 |
| 14:00 | 91 | ნაგოია-კაშიმა | 2.65 | 3.10 | 2.35 | 1.42 | 1.24 | 1.33 |
| 14:00 | 92 | ოიტა-გამბა | 2.55 | 3.10 | 2.45 | 1.39 | 1.24 | 1.36 |
| | | **აშშ** | | | | | | |
| | | **15 ივლისი** | | | | | | |
| 23:45 | 102 | ვაშინგტონი-სან ხოსე | 2.25 | 3.10 | 2.80 | 1.30 | 1.24 | 1.47 |
| 23:45 | 103 | ჩიკაგო-კოლამბუსი | 1.60 | 3.40 | 4.80 | 1.08 | 1.20 | 1.99 |
| | | **16 ივლისი** | | | | | | |
| 23:45 | 104 | ნიუ იორკი-კოლორადო | 1.75 | 3.30 | 3.90 | 1.14 | 1.20 | 1.78 |
| 23:45 | 105 | ნიუ ინგლენდი-დალასი | 2.30 | 3.00 | 2.80 | 1.30 | 1.26 | 1.44 |
| 23:45 | 106 | კანზასი-სოლტ ლეიკი | 1.50 | 3.50 | 5.50 | 1.04 | 1.17 | 2.13 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 107 | ლოს ანჯელესი-ჩივასი | 1.45 | 3.60 | 6.20 | 1.03 | 1.17 | 2.27 |

**ჩემპიონთა ლიგა**

**12 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:30 | 119 | კაირატი-პეტრჟალკა | 4.80 | 3.60 | 1.55 | 2.05 | 1.17 | 1.08 |
| 18:00 | 120 | ნეფჩი-ჰაფნარფიორდური | 1.90 | 3.10 | 3.50 | 1.17 | 1.23 | 1.64 |
| 19:30 | 121 | ლევადია-დინამო(თბ) | 2.90 | 3.10 | 2.20 | 1.49 | 1.25 | 1.28 |
| 20:00 | 122 | დინამო(მნ)-ანორთოსისი | 1.60 | 3.40 | 4.80 | 1.08 | 1.20 | 1.99 |
| 22:00 | 123 | სლიემა-ტირასპოლი | 4.00 | 3.30 | 1.75 | 1.80 | 1.21 | 1.14 |
| 22:00 | 125 | რაბოტნიჩკი-სკონტო | 2.05 | 3.10 | 3.10 | 1.23 | 1.23 | 1.54 |

**13 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 124 | დუდელანჟი-ზრინსკი | 4.80 | 3.60 | 1.55 | 2.05 | 1.17 | 1.08 |
| 22:00 | 126 | გორიცა-ტირანა | 1.40 | 3.70 | 7.00 | 1.01 | 1.16 | 2.42 |
| 22:45 | 127 | ლივერპული-ტნს | 1.01 | 10.00 | 30.00 | 1.00 | 1.00 | 7.50 |
| 19:30 | 128 | ჰაკა-პუნიკი | 1.50 | 3.70 | 5.20 | 1.06 | 1.16 | 2.16 |
| 22:00 | 129 | გლენტორანი-შელბურნი | 3.10 | 3.00 | 2.15 | 1.52 | 1.26 | 1.25 |
| 22:00 | 130 | ტორშავნი-კაუნასი | 4.80 | 3.60 | 1.55 | 2.05 | 1.17 | 1.08 |

**ამხანაგური მატჩები**

**12 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:15 | 157 | ლეგია-ლევერკუზენი | 3.00 | 3.00 | 2.20 | 1.50 | 1.26 | 1.26 |
| 20:30 | 158 | სპარტა-პარტიზანი | 2.30 | 3.00 | 2.80 | 1.30 | 1.26 | 1.44 |
| 20:00 | 159 | მარსელი-ისტრი | 1.50 | 3.40 | 6.50 | 1.04 | 1.21 | 2.23 |
| 21:30 | 160 | ბაზელი-სოშო | 2.30 | 3.00 | 2.80 | 1.30 | 1.26 | 1.44 |
| 21:30 | 162 | კარლსრუე-შტუტგარტი | 3.70 | 3.40 | 1.75 | 1.77 | 1.18 | 1.15 |

**შვედეთი. თასი**

**13 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 188 | გაისი-ჰალმსტადი | 3.40 | 3.30 | 1.95 | 1.67 | 1.23 | 1.22 |

**ხორვატია. თასი**

**15 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:00 | 189 | ჰაიდუკი-რიეკა | 1.80 | 3.20 | 3.80 | 1.15 | 1.22 | 1.73 |

**ოქროს თასი (აშშ)**

**12 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 190 | კოლუმბია-ტრინიდადი | 1.45 | 3.60 | 6.00 | 1.03 | 1.16 | 2.25 |
| 23:45 | 191 | ჰონდურასი-პანამა | 1.80 | 3.20 | 3.80 | 1.15 | 1.22 | 1.73 |
| 23:45 | 192 | აშშ-კოსტა რიკა | 1.45 | 3.90 | 5.50 | 1.05 | 1.14 | 2.28 |
| 23:45 | 193 | კანადა-კუბა | 1.75 | 3.30 | 4.00 | 1.14 | 1.21 | 1.80 |

**ლიბერტადორესის თასი**

**14 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 196 | სან პაულუ-ატლეტიკო პრ | 1.45 | 3.80 | 5.80 | 1.04 | 1.15 | 2.29 |


CROCO BOOKMAKERS კროკო

ისარგებლეთ კროკოს ახალი მომსახურებით

CROCO BOOKMAKERS

ტელკრედიტი
TCL CREDITI

10
42 00 24


**გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)**

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13190 | კოლუმბია-ტრინიდადი | 1.70 | 1.90 |
| 13191 | ჰონდურასი-პანამა | 1.70 | 1.90 |
| 13192 | აშშ-კოსტა რიკა | 1.70 | 1.90 |
| 13193 | კანადა-კუბა | 1.70 | 1.90 |

**რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი**

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15190 | კოლუმბია-ტრინიდადი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15191 | ჰონდურასი-პანამა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15192 | აშშ-კოსტა რიკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15193 | კანადა-კუბა | 3.00 | 2.80 | 2.00 |

**ლუწი რაოდენობის გოლი გავა მატჩში თუ კენტი (0:0 ითვლება ლუწად)**

| | | ლუწი | კენტი |
|---|---|---|---|
| 17190 | კოლუმბია-ტრინიდადი | 1.85 | 1.95 |
| 17191 | ჰონდურასი-პანამა | 1.85 | 1.95 |
| 17192 | აშშ-კოსტა რიკა | 1.85 | 1.95 |
| 17193 | კანადა-კუბა | 1.85 | 1.95 |

**რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)**

| | | | |
|---|---|---|---|
| 12190 | კოლუმბია-ტრინიდადი | 1.90 | 1.70 |
| 12191 | ჰონდურასი-პანამა | 1.70 | 1.90 |
| 12192 | აშშ-კოსტა რიკა | 1.70 | 1.90 |
| 12193 | კანადა-კუბა | 1.70 | 1.90 |


სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე


**რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს**

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14190 | კოლუმბია-ტრინიდადი | 1.30 | 2.50 |
| 14191 | ჰონდურასი-პანამა | 1.60 | 2.30 |
| 14192 | აშშ-კოსტა რიკა | 1.30 | 2.50 |
| 14193 | კანადა-კუბა | 1.40 | 2.40 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11190 კოლუმბია-ტრინიდადი | 1.80 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11191 ჰონდურასი-პანამა | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11192 აშშ-კოსტა რიკა | 1.75 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11193 კანადა-კუბა | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10190 | კოლუმბია-ტრინიდადი | 1.90 | 2.10 | 5.50 | 1.00 | 1.41 | 1.51 |
| 10191 | ჰონდურასი-პანამა | 2.30 | 2.00 | 4.50 | 1.06 | 1.52 | 1.38 |
| 10192 | აშშ-კოსტა რიკა | 1.90 | 2.10 | 5.50 | 1.00 | 1.41 | 1.51 |
| 10193 | კანადა-კუბა | 2.30 | 2.00 | 4.50 | 1.06 | 1.52 | 1.38 |

| | 1 | | | 2 |
|---|---|---|---|---|
| | | **ჩოგბურთი კაცები**<br>**მანჩესტერი ბალახი**<br>**12 ივლისი** | | |
| 13:00 | 400 | ვიკი-ჰილტონი | 1.80 | 1.80 |
| 13:00 | 401 | გუდალი-აზარო | 1.50 | 2.20 |
| 13:00 | 402 | შერვუდი-სტოპინი | 1.50 | 2.20 |
| 13:00 | 403 | სტახოვსკი-ბაკანელო | 1.60 | 2.00 |
| 13:00 | 404 | პარმარი-კიურეში | 1.40 | 2.60 |
| 13:00 | 405 | მაკინი-ჩაილდზი | 1.40 | 2.50 |
| 13:00 | 406 | მანკადი-პეკუერი | 1.45 | 2.35 |
| 13:00 | 407 | დელგადო-ვიკო | 1.50 | 2.35 |
| 13:00 | 408 | ბლუმფილდი-ხარტფილდი | 1.65 | 2.05 |
| 13:00 | 409 | ბრაჩიალი-გონსალესი | 1.10 | 5.00 |
| | | **ჩოგბურთი კაცები**<br>**ეპტოსი**<br>**12 ივლისი** | | |
| 20:00 | 410 | გოლდშტეინი-დელიჩი | 1.50 | 2.25 |
| 20:00 | 411 | კარა-სელა | 1.30 | 3.20 |
| 20:00 | 412 | დიუპუა-ოკუნი | 1.45 | 2.40 |
| 20:00 | 413 | მამიტი-რასელი | 1.50 | 2.45 |
| 20:00 | 414 | ლაპენტი-ვაინერი | 1.55 | 2.35 |
| 20:00 | 417 | ტურსუნოვი-ლევი | 1.20 | 3.40 |
| 20:00 | 418 | დანჩევიჩი-ბოეკერი | 1.65 | 2.10 |
| 20:00 | 419 | ნიმეიერი-მიურეი | 1.80 | 1.80 |
| | | **ჩოგბურთი**<br>**ქალები მოდენა**<br>**12 ივლისი** | | |
| 13:00 | 421 | დიას ოლივა-შრუფი | 1.35 | 2.75 |
| 13:00 | 423 | კუკალოვა-ზანეტი | 1.20 | 3.50 |
| 13:00 | 424 | კოენ ალორო-გარბინი | 1.80 | 1.80 |
| 13:00 | 425 | მამიჩი-გალიარდი | 1.65 | 2.05 |
| 13:00 | 426 | კამერინი-მატევზიჩი | 1.30 | 3.00 |
| 13:00 | 427 | პარა-პასტიკოვა | 1.60 | 2.10 |
| 13:00 | 428 | პენეტა-პასკუალი | 1.20 | 3.80 |
| 13:00 | 429 | სკიავონი-ვაინგარტნერი | 1.15 | 5.00 |
| 13:00 | 430 | სუხა-სანჩეს ლორენცო | 1.80 | 1.80 |

CROCO
BOOKMAKERS
კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | მესამე მასივი, ჯავახეთისა და კალოუბნის ქუჩების გადაკვეთა | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი -კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | წმინდა ნინოს ქუჩა № 13 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | „ახალი ავტოსადგური" ალაზნის გამზირი | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა № 1 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №50 | |
| ოზურგეთი | გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა №2 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |

*საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა რიხით დაიწყო ევროსაკვალიფიკაციო ტურნირი და ჯგუფში ისე ლიდერობს, წაგების გემო არ იცის. ქართველებმა ერთმანეთის მიყოლებით დაამარცხეს ისლანდიის, ფინეთის და ირლანდიის ნაკრებები, თუმცა წინ ორ სერიოზულ მეტოქესთან ჯახი ელოდებათ და ჯგუფში პირველობის ბედიც მერელა გაირკვევა. თუმცა ჯგუფში გამარჯვება ჩვენების თვითმიზანი როდია. მთავარი მწვრთნელის, ნუგზარ კანდელაკის თქმით, ჩვენებს ის ადგილი აძლევთ ხელს, რომელიც პლეი ოფში ფინალამდე ბულგარელებს აგვარიდებს. გუშინ დასვენების დღე იყო და ჩვენც კანდელაკს დავუკავშირდით...*


ბუბა ფოლადიშვილის ფოტო

# ანტიბულგარული პროგრამა

## ნუგზარ კანდელაკი: მარკოიშვილი და სანიკიძე პირველობას გაგვინაღდებდნენ

— ასპროცენტიანი შედეგით ვლიდერობთ და, რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ. საწყისი სამი მეტოქე იოლად დავამარცხეთ, თუმც წინ გაცილებით სერიოზული მატჩები გველის.

**— სლოვაკეთი და პოლონეთი მართლაც ძლიერი გუნდები არიან. სატურნირო ვითარება ისეთია, რომ ეგებ მხოლოდ პოლონეთის დამარცხებამაც იკმაროს ჯგუფში პირველი ადგილის დასაკავებლად...**

— ყველაფერი შესაძლებელია, თუმცა ვინ თქვა, რომ ჩვენ მაინცდამაინც პირველობას ვუმიზნებთ? ისეთი ადგილი გვაძლევს ხელს, რომელიც პლეი ოფის საწყის რაუნდებში მასპინძელ ბულგარეთს აგვარიდებს. მართალია, ბულგარეთი არ არის გამორჩეულად ძლიერი გუნდი, მეტიც, მასპინძლებმა გუშინ უნგრელებთან წააგეს, მაგრამ ჩვენი სტრატეგია უცვლელია და ფინალამდე მათთან თამაში არ გვსურს.

**— მაინც რატომ, თუ ბულგარეთზე ძლიერები სხვები არიან?**

— ბულგარეთი დამარცხდა ჯგუფურ მატჩში, რაც ტრაგედია არ გახლავთ. აი, როცა ყოფნა-არყოფნის თამაში იქნება, მაშინ არავინ იცის, როგორ მოიქცევიან მსაჯები. რაც გინდა იყოს, ბულგარეთი მასპინძელია და შინაურ კედლებში ნებისმიერ მეტოქესთან საგრძნობი უპირატესობა აქვს.

**— საიმისოდ, რომ ბულგარეთი პლეი ოფის საწყის ეტაპებზე აიცილოთ, მანიპულირების ჩინებული საშუალება გაქვთ — სამიდან სამი მოგებით ლიდერები ხართ და მომდევნო ეტაპის საგზური უკვე ჯიბეში გიდევთ...**

— ყველაფერი კარგად იყო, ჩვენც და ბულგარელებიც უდანაკარგოდ მოვდიოდით, მაგრამ მასპინძლებმა გუშინ უნგრელებთან წააგეს და ყველაფერი აირია. ანუ ის ვარიანტი, რომ ორივენი ჯგუფში პირველ ადგილზე გავსულიყავით და ამ გზით ფინალამდე აღარ შევხვედროდით ერთმანეთს, ფაქტობრივად ჩაიშალა.

**— სხვა ვარიანტი არ არსებობს?**

— არის ერთი შესაძლებლობაც, თუ ბულგარეთი პირველზე გავა და ჩვენ მესამეზე ან პირიქით. ახლა, როცა მასპინძლებმა უკვე წააგეს, ყველაფერი აირია და ბოლო ტურამდე არაფერი გაირკვევა. საქმეს ისიც ართულებს, რომ ზუსტად იგივეს ფიქრობენ სხვა ნაკრებებიც — პლეიოფებში ბულგარეთთან თამაში არავის სურს. არ ვიცი, რა როგორ იქნება, მაგრამ ეგებ ისეთი კომიკური ვითარება წარმოიქმნას ბოლო ტურში, რომ საქართველო — პოლონეთის მატჩში მოგება არც ერთ მხარეს ხელს არ აძლევდეს. ერთი სიტყვით, ჯერ ადრეა მანიპულირება და მომდევნო მატჩში, სლოვაკებთან, მხოლოდ მოსაგებად ვითამაშებთ.

**— ძნელია, სუსტი მეტოქეებით საკუთარი გუნდის თამაშის განსჯა, მაგრამ მაინც...**

— ყველაზე ძლიერი მეტოქე ფინეთი იყო და შესაბამისად მათთან ვითამაშეთ ყველაზე კარგად. ისეთი დაცვით თუ ვითამაშებთ, როგორც ფინელებთან, ამ ტურნირის ნებისმიერ მეტოქეს დავამარცხებთ.

**— თუ ფინელებთან ასე კარგად იცავდით თავს, გაცილებით სუსტ ისლანდიასთან და ირლანდიასთან რატომ ვერ მოახერხეთ იგივე?**

— იმიტომ, რომ ფსიქოლოგიურმა ფაქტორმა იმოქმედა. თანაც ირლანდიასთან ჩვენმა ბიჭებმა „ქართული“ ხასიათი გამოავლინეს... პრანჭვა-გრეხით და ბურთის ფეხებს შუა გატარებით იძლეოდნენ პასებს, აქაოდა, სუსტი მეტოქე გვყავსო. ბურთის ზომაზე მეტი დაკარგვაც ამის ბრალია.

**— არადა, ერთი შეხედვით, ირლანდია არ იყო ხელწამოსაკრავი გუნდი...**

— მეც გამიკვირდა, როცა ასე იოლად ვაჯობეთ. ბიჭები ბევრს ამლაშებდნენ ეფექტურად თამაშის მცდელობაში და მაინც, 24 ქულით მოვუგეთ. ირლანდიას რამდენიმე ამერიკის კოლეჯში მოთამაშე ჰყავს და საერთოდ, შეუპოვარი გუნდია. ჩვენამდე ისინი პოლონეთს ეთამაშნენ და დაძაბულ ბრძოლაში ბოლო წუთებზე წააგეს.

**— სხვა გუნდებს როგორ შეაფასებთ, ვის რა შანსები აქვს?**

— გამოკვეთილი ფავორიტი არავინაა, დაახლოებით თანაბარი დონისანი არიან ტურნირის წამყვანი გუნდები. უნგრეთმა, როგორც გითხარით, ბულგარეთს მოუგო, ხოლო თავად ტურნირის დაწყებამდე სლოვაკელებთან დამარცხდა. ერთ რამეს ვიტყვი და ყველაფერი ცხადი გახდება: მანუჩარ მარკოიშვილი და ვიქტორ სანიკიძე რომ გვყოლოდა, ამ ტურნირს უპირობლემოდ მოვიგებდით.

**— მოთამაშეებით კმაყოფილი ხართ?**

— ყველანი ისე თამაშობდნენ, როგორც მოველოდით, განსაკუთრებულად არავინ გამოირჩევა და არც არავის უჭირს. აქამდე ყველას ვათამაშებდი, მხოლოდ ერქვანია ვერ გამყავდა მოედანზე, რომელმაც თურქეთში ტრავმა მიიღო. სასტარტო ხუთეულიც გამოიკვეთა და დარჩენილ მატჩებში დიდი მობილიზებით, ძალთა რაციონალური გადანაწილებით ვითამაშებთ.

**ირაკლი პერტაია**


ბუბა ფოლადიშვილის ფოტო

გიორგი ცინცაძე ქართველების წინამძღოლია

**საშუალო სტატისტიკური მაჩვენებლები სამი მატჩის ჯამში**

| | ნთ | ქ | მ | პ | ჩ | დ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცინცაძე | 29 | 15 | 4,5 | 3,7 | 3,3 | 6,6 |
| საყვარელიძე | 23 | 11 | 4 | 3 | 3 | 4,5 |
| ფარლალავა | 18 | 10,3 | 3,8 | 0,3 | 0,7 | 1,5 |
| იმნაძე | 20 | 10,3 | 5,3 | 0,3 | 0,7 | 0,6 |
| მამაცაშვილი | 17 | 9,7 | 2,3 | 0,3 | 1,3 | 3 |
| ვაშაკიძე | 11 | 5,7 | 2 | 0,3 | 1 | 1,3 |
| ჩავლეიშვილი | 9 | 5,3 | 0,3 | 0 | 0,3 | 0 |
| მდივანი | 19 | 4,3 | 7,3 | 0,6 | 0,3 | 4 |
| გამყრელიძე | 24 | 4,3 | 3,6 | 1,3 | 1,3 | 2,6 |
| ათუაშვილი | 13 | 4 | 5 | 0 | 0,3 | 1,3 |
| ჩხატარაშვილი | 16 | 2 | 3,6 | 1 | 0,6 | 2,6 |

შენიშვნა: წთ — წუთი; ქ — ქულა; მ — მოხსნა; პ — პასი; ჩ — ჩაჭრა; დ — დაკარგვა

**A ჯგუფი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| საქართველო | 3 | 3 | 0 | 246:180 | 6 |
| პოლონეთი | 3 | 3 | 0 | 256:149 | 6 |
| ფინეთი | 3 | 2 | 1 | 224:211 | 5 |
| სლოვაკეთი | 3 | 1 | 2 | 234:222 | 4 |
| ირლანდია | 3 | 0 | 3 | 193:250 | 3 |
| ისლანდია | 3 | 0 | 3 | 167:268 | 3 |

**B ჯგუფი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| უნგრეთი | 3 | 3 | 0 | 292:225 | 6 |
| ბელგია | 3 | 2 | 1 | 265:200 | 5 |
| შვედეთი | 3 | 2 | 1 | 215:296 | 5 |
| ბულგარეთი | 3 | 2 | 1 | 256:248 | 5 |
| პორტუგალია | 3 | 0 | 3 | 195:234 | 3 |
| ალბანეთი | 3 | 0 | 3 | 183:303 | 3 |



# ბორჯომ-თბილის-ბაკურიანის კონკურენტი პარიზი, ანსი, გაპი ან გრენობლია

**მოგეხსენებათ**, რომ ბორჯომმა ბაკურიანისა და თბილისის იმედად 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების სამასპინძლოდ თავისი კანდიდატურა წამოაყენა. ამ სამეულს მიზნის მისაღწევად მეტად მძიმე ბრძოლა რომ მოუწევს, ეს ცხადზე ცხადია, მაგრამ, ეტყობა, ჩვენს მდგომარეობას უფრო დაამძიმებს 2012 წლის ოლიმპიური თამაშების სამასპინძლოდ პარიზის დამარცხება ლონდონთან.

საქმე ისაა, რომ ამ წარუმატებლობის შემდეგ საფრანგეთის დედაქალაქის მესვეურებს უმალ დაებადათ იდეა, 2014 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს მაინც ვუმასპინძლოთო და ახალ ბრძოლაში ჩაბმა გადაწყვიტეს.

მაგრამ პარიზი ერთადერთი სულაც არ არის საფრანგეთიდან, რომელიც ამ იდეამ ააფორიაქა. ასეთივე ოცნება გაუჩნდათ საფრანგეთის პატარა ქალაქებს ანსს, გაპს და გრენობლს.

ამ ოთხთაგან პარასკევს ეს ოფიციალურად განაცხადა ანსის მერმა. თუმცა, ამ ქალაქთაგან, ცხადია, ყველა ერთდროულად ვერ წარადგენს განაცხადს და ერთ-ერთ მათგანს ჯერ შინაურ შეჯიბრებაში მოუწევს გამარჯვება. საფრანგეთის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი მათგან ერთ-ერთს 28 ივლისს შეარჩევს, თუ საერთოდ იგი ამას ისურვებს.

ამ ოთხი ქალაქიდან, მოგეხსენებათ, პარიზმა ორჯერ უმასპინძლა ოლიმპიურ თამაშებს, ხოლო გრენობლმა ერთხელ მიიღო ზამთრის ოლიმპიური თამაშები.

ასეა თუ ისე, 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლის ვინაობა 2007 წლის ივლისში გაირკვევა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ყოველწლიურ კონგრესზე, რომელიც გვატემალაში ჩატარდება.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

# ჟაკ როგი ოლიმპიური როტაციის წინააღმდეგია

**საერთაშორისო** ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ჟაკ როგმა განაცხადა, რომ მომავალში ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქის არჩევისას კონტინენტების როტაცია ამ საქმეში განმსაზღვრელი არ იქნებაო. სინგაპურში, სოკ-ის სესიის დასკვნით დღეს ამის თაობაზე ჟაკ როგს სიტყვა ჩამოუგდეს ამავე ორგანიზაციის წევრებმა და უთხრეს, ხომ არ აჯობებდა, რომ ჩვენც ფიფას მაგალითით გვეხელმძღვანელა, რის მიხედვითაც 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ჩატარდება. ამიტომაც, ხომ არ აჯობებს, რომ ოლიმპიური თამაშები ახლა აფრიკაში ან სამხრეთ ამერიკაში გაიმართოს, რომლებსაც ამგვარი ასპარეზობისთვის აქამდე არ უმასპინძლიათო.

„ოლიმპიური თამაშების იქ გამართვას, სადაც იგი აქამდე არ ჩატარებულა, ალბათ თითეული ჩვენგანი ოცნებობს, მაგრამ არ შეიძლება ჩვენი ვითარება შევადაროთ იმ მდგომარეობას, რომელშიც ფიფაა“ — თქვა ჟაკ როგმა.

ძიუდო

# ბაკურიანი თურქული მედლებით გამდიდრდა

## შვიდეულზე ჯერ არ ლაპარაკობენ



გოგა გუგავა

**სტამბოლში** დასრულდა ძიუდოისტთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი. მასში ცხრა ქართველმა იჭიდავა და ექვსი მედლამდე მივიდა. სეზონის უმთავრესი შეჯიბრი, მსოფლიოს ჩემპიონატი, სექტემბრის დასაწყისში ეგვიპტეში იმართება და რახან ჩვენმა ნაკრებმა უკვე მისთვის მოსამზადებელი ციკლი დაიწყო, მთავარმა მწვრთნელმა შოთა ხაბარელმა სათურქეთო შემადგენლობა ამირან ტოტიკაშვილს ჩააბარა, თავად კი ბაკურიანულ შეკრებაზე დარჩა.

თურქეთში მედლები ოთხ უმძიმეს წონაში მოჭიდავეებმა მოიპოვეს, თუმც აქვე გეტყვით, რომ პირველ სამ წონაში მხოლოდ ორი ქართველი გვყავდა.

„სტამბოლის ტურნირზე ტრადიციულად ძლიერი შემადგენლობა იყრის ხოლმე თავს და ამჯერადაც ასე ყოფილა — გვითხრა გუშინ ხაბარელმა — უმედლოდ მხოლოდ ზაზა კედელაშვილი (66 კგ), ტარიელ მინესაშვილი (73 კგ) და დავით კარბელაშვილი (81 კგ) დაგვირჩნენ. 81 კილოგრამში გრიგოლ შინჯიკაშვილი მეორეზე გავიდა, 90-ში ზურაბ ზვიადაური მესამე იყო. ბრინჯაო აილო მძიმეწონოსანმა ლაშა გუჯეჯიანმაც. ამავე წონაში ფინალი დათმო გიორგი ყიზილაშვილმა, ხოლო 100 კილოგრამის გადამწყვეტი ბრძოლა ქართული გამოდგა. გია გუგავამ ირაკლი ცირეკიძეს აჯობა“.

თბილისში გუშინ ჩამოსული ძიუდოისტები სალამოს უკვე ბაკურიანის გზას დაადგნენ. იქაური შეკრება კიდევ ერთ კვირას გასტანს. გადამწყვეტ შეკრებებს კი ტრადიციულად ლიკანი უმასპინძლებს. სწორედ მაშინ გაირკვევა, საეგვიპტო შვიდეული. ჯერჯერობით ამ თემაზე საუბრისგან ყველა თავს იკავებს.

**ოთარ მაღლაკელიძე**

მძლეოსნობა

# ბრაზილიიდან ამოსული

## ის უკვე სუელიცაა და მეტიც



ჟუსილენ სალეშ დე ლიმა

**ბრაზილია** ტრადიციებით მდიდარია. ჰყოლია მრავალი ძლიერი სპრინტერი და მხტომელი, რომელთაც ბოლო ხანს გრძელ დისტანციებზე მორბენლებიც შეემატნენ, მაგრამ შუბის მტყორცნელები...

საერთოდაც, შეიძლება ითქვას, ბრაზილიელებს კარგა ხანია ალარაფერი უტყორცნიათ. ბადროსა და ბირთვის მტყორცნელი ჟოზე არაუჟო დე სოუზა და შუბოსანი სუელი პერეირა დუშ სანტუში უკვე წარსულის სპორტსმენები გახლავან, ელისანჟელა ადრიანუ (ბირთვი და ბადრო) და ლუიშ ფერნანდო და სილვა (შუბი) კარიერის ბოლო შეჯიბრებებს ითვლიან, თუმცა, კაცმა (თან ბრაზილიელმა) რომ თქვას, ქვეყანას შავი მომავალი სულაც არ ელის — არის პერსპექტივა! მაგალითად, 2003 წელს მირანდა დე ოლივეირამ ქვეყანას შერბროკიდან ახალგაზრდათა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული ჩამოუტანა. ეს 14 წლის გოგონა, რომელსაც ფოტოზე ხედავთ და არ გჯერათ, რომ 14 წლისაა, ჟუსილენ სალეშ დე ლიმა გახლავთ. იგი პარაიბას შტატელი შუბოსანია, რომელზეც ამბობენ, რომ ზემოთ ჩამოთვლილ ორივე თანამემამულე თანასახელობელზე, სუელი პარეირა დუშ სანტუშსა და ლუიშ ფერნანდო და სილვაზე მეტად გაახარებს ბრაზილიელ ქომაგთა გულებს.

ჩვენ ფაქტს მოგაწვდით და თქვენ თავად იმსჯელეთ: ახლახან, 25 ივნისს, რიო დე ჟანეიროში მან 17 წლამდელთა კონტინენტური რეკორდი გააუმჯობესა (48, 58მ), და ასაკის მიუხედავად მარაკეჩში ახალგაზრდათა მსოფლიოს ჩემპიონატზე გამარჯვებას აპირებს.

„ვიმედოვნებ, რომ მსოფლიოზე შუბს 50 მეტრზე ტყორცნის, ხოლო წელიწადს 52 მეტრით დაასრულებს, — ამბობს მწვრთნელი ჟოაო პაულუ ალვეშ დე კუნია და დასძენს, — ამ ეტაპზე იგი ნებისმიერი სხვა თანატოლის გრაფიკით ვარჯიშობს, მაგრამ არ გვავიწყდება, რომ მხოლოდ 14 წლისაა და პროცესებს მაინც სიფრთხილით ვაკვირდებით. მე თუ მკითხავთ, მასზე ზედმეტი ზეწოლა საჭირო არ არის და ვფიქრობთ, არც ვაწვებით ზედმეტად. ჩვენი მიზნები შორსმიმავალია. 2007 წელს მინდა ჩემმა მოსწავლემ 57 მეტრი დაძლიოს, თუმცა მანამდე ნაბიჯ-ნაბიჯ ვივლით.“

აქვე ვთქვათ, რომ დიდ ქალთა ანუ ნამდვილი მსოფლიოს რეკორდი 2001 წელსაა დამყარებული და 71,54 მეტრს უდრის. იგი ეკუთვნის კუბელ ოსლეიდის მენენდესს.

„მძლეოსნობა ჩემი დის წაბაძვით დავიწყე, — ამბობს ზემოხსენებული 2003 წლის ახალგაზრდული ჩემპიონატის მეოთხედგილოსანი ჰეპტატლონელის, ჟაილმა სალეშ დე ლიმას უმცროსი და, — ახლა კი მარაკეჩში მინდა კარგად გამოსვლა. როდესაც წარმოვიდგენ, რომ ჩემი ქვეყნის სახელით უნდა გამოვიდე, საოცარი გრძნობა მეუფლება. ამის აღწერა შეუძლებელია“.

**პაპუნა ძედია**

სუმო

# კოკაის ორში ორი



**იაპონიაში,** აიჩის პრეფექტურის ქალაქ ნაგოიაში 42 მძიმე კაცი შეიყარა და სუმოისტთა 2005 წლის მეოთხე ტრადიციული ბაშო გაჩაღდა. უმაღლეს დივიზიონ მაკუტიში იმპერატორის თასის მფლობელი 24 ივლისს გამოვლინდება. მანამდე თითო სუმიტორი თოთხმეტ შეხვედრას ჩაატარებს. დადებითი ბალანსის მქონენი მომავალი ტურნირისთვის წოდებას აიმაღლებენ, უარყოფითის მქონენი კი პირიქით.

ერთ დროს დასავლეთის მესამე მაეგაშირად წოდებული ქართველი მებრძოლი კოკაი, იგივე „შავიზღვა“ ლევან ცაგურია, ბოლო სამი ბაშოს ჩაგდების გამო ამჯერად მეექვსე მაეგაშირაა და ისევ ალმასვლას ეშურება. ნაგოიას ბაშო ჩვენებურმა ისე დაიწყო, სპეციალისტთა აზრით, დადებითი ბალანსის დაგროვება არ უნდა გაუჭირდეს.

პირველ ტაიმში 31 წლის ვეტერან ექს-სეკივაკე ტოჩინონადასთან იმარჯვა, მერე კი სამგზის ნასეკივაკარი, ციურ ფენიქსად წოდებული კოკუტენხო წამოაქცია. დღეს მისი მეტოქე სამი თვის წინ ყველაზე ტექნიკურ მოჭიდავედ დასახელებული 113-კილოგრამიანი ბუთხუზბიჭი ამაა.

არ იქნება, ორი სიტყვა 21-ე საუკუნის პირველ იოკოძუნა ასასიორიუზეც არ ვთქვათ. რა გასაკვირია, წლეულს მხოლოდ ერთხელ დამარცხებულ ცენტნერნახევრიან „ცისფერ დრაკონს“ ნაგოიას ბაშოზეც ორიდან ორი გამარჯვება რომ ჰქონდეს. განსაკუთრებით თვალსასეიროდ პირველი მეტოქე დაუჩაგრია. 180-კილოგრამიანი გიგანტი, კომუსუბი მიაბიამა ჰაერში აიტაცა, სარბიელს მიღმა გაიყვანა და მშვიდად დაუშვა.

**ოთარ მაღლაკელიძე**

# ფედერერს უკვე შანხაიში აქვს



როჯერ ფედერერი

**კაცთა** საჩოგბურთო სეზონი რვაკაცა მასტერსთასით რომ სრულდება ხოლმე, საქმეში ჩახედული მკითხველი, ვინძლო, ამის შეხსენებას არ საჭიროებდეს. საჩოგბურთო რამე-რუმეებში გარკვეულ კაცს ალბათ არც იმის შეხსენება სჭირდება, რომ რვა ურჩეულესი მეჩოგნე ჩემპიონთა რბოლის უკანასკნელი, საბოლოოკვირაო სიის მიხედვით დგინდება — მასტერსთასზე გამოსვლის უფლებას ავტომატურად იღებს ის შვიდი მეჩოგნე, ვინაც წლის განმავლობაში უმრავლესი საჩემპიონთარბოლო ქულა მოაქუჩა და, შესაბამისად, სეზონის დამლევს რბოლის უზენაეს ალაგებზე იდგა, ხოლო უკანასკნელ, მერვე საგზურს დიდი მუზარადის ოთხი ტურნირის მომგებს შორის შვიდეულსმომდევნო ადგილებიდან ყველაზე ზევით მდგომი ეუფლება.

იმედია, იმათ, ვისაც ეს შესავალი მიესამართება, ისიც ჩინებულად ეხსომებათ, რომ წლევანდელ მასტერსრვაკაცას კვლავაც — და იქ ეს ტურნირი ბოლოჯერ 2002-ში გაიმართა — შანხაი უმასპინძლებს (ცამეტიდან ოცი ნოემბრის ჩათვლით). ჰოდა, ჩვენც მთელი ეს ვერბალური ალიაქოთი იმიტომ ავტეხეთ, რომ გახაროთ: ამქრის ზეგარდმო უსტაბაშმა, ორივე რეიტინგსიის პირველოსანმა როჯერ ფედერერმა თავის ზედიზედ მესამე უიმბლდონობაზე გამარჯვების შემდეგ ქულათა იმოტოლა რაოდენობას მოუკრა ჭიპი, რომ თავი უკვე ქუდში ანუ ჩოგანი უკვე შანხაიში აქვს.

23 წლის შვეიცარიელის საამმომენტო ქულადი ფონდი 910-ს შეადგენს და, როგორც საჭირო ხალხმა გამოთვალა, მისმომდევნონი სეზონის ბოლომდე დამშთარ ოთხ თვეში რარიგ ნაყოფიერადაც არ უნდა გაირჯნენ, სასურველი რვეულიდან მას უკვე ვერარა არითმეტიკა ველარ ამოაგდებს.

პირუკუ, მავანნი ვარაუდობენ, რომ მხიარული როჯერი აწი უფრო დიდ ლუკმებს მიითლის და, შარშანდელი სეზონის დამლევს 1267 ქულა რომ ჰქონდა, წლეულს მეტიც ექნება.

ყოველ შემთხვევაში, მისი წლევანდელი გრაფიკი სწორედ ამგვარ ტენდენციაზე მიანიშნებს.

შეგახსენებთ, რომ შარშან მან სამასტერსრვაკაცო ადგილი 3 აგვისტოსთვის დაიბევა — რაიც მანამდე დიაღ წარმოუდგენელი ამბავი გახლდათ! — აშშ-ის შარშანდელი ღია პირველობის დასაწყისისთვის კი მის ანგარიშზე მხოლოდ 887 ქულა ირიცხებოდა.

„ფედერერი კვლავაც განაგრძობს ჩვენს განცვიფრებას — ამბობს მასტერსთასის დირექტორი ბრედ დრიუეტი — მსოფლიო საჩოგბურთო ფანობას წილად ხვდა ბედნიერება, ყველა დროის ერთი უდიადესი მეჩოგნის საოცარი განვითარების მოწმე გამხდარიყო. აზიაში მას მილიონობით თაყვანისმცემელი ჰყავს, ჩინეთში ის ახლახანს უპოპულარულეს მეჩოგნედ დაასახელეს და ამდენად შანხაიში მას არაჩვეულებრივი დახვედრა მოელის."

ბოლოს შეგახსენებთ, რომ ფედერერი წინა ორი, ჰიუსტონური მასტერსთასის ჩემპიონია, ამ ტურნირზე ის 2002 წლიდან გამოდის და ერთი მარცხის 13 გამარჯვებას მოიძევს. იმ ერთხელ მას მისთვის სადებიუტო რვაკაცის ნახევარფინალში მაშინ ფაფარაშლილ ფორმაში მყოფმა ლეიტონ ჰიუიტმა მოუგო.

ახლა ფაფარაშლილი ფედერერია, ჩემპიონთა რბოლის მეოთხეადგილოსან ჰიუიტს (354 ქულა) კი, ისევე როგორც მის წინ მდგომ რაფაელ ნადალსა (699) თუ ენდი როდიკს (436), შანხაიში მოსახვედრად კიდევ მოუწევს არა ერთი ოფლიანი განდაგანის ატანა.



გრეგ რუზეცკი

# რუზეცკის პონტი ნიუპორტია

**HALL OF FAME TENNIS CHAMPIONSHIPS**

**ნიუპორტი. ბალახი**

**საპრიზო 355 ათასი $**

**ფინალი**

**გრეგ რუზეცკი (3, ბრიტანეთი) — ვინს სპედია (2, აშშ) 7:6 (7:3) 2:6 6:4**

**სექტემბერში** გასაოცდაათორმეტწლისელებმა ბრიტანელმა გრეგ რუზეცკიმ თავისი პირველი საკარიერო ტიტული 1993 წელს ნიუპორტულ ბალახზე იშოვა. მისთვის იღბლიან ტურნირს ის შემდეგშიც ხშირად სტუმრობდა, თუმცა ტიტულის ხელახლა მოხვეჭა მხოლოდ შარშანლა შეძლო. წლეულს კი ის გახდა პირველი მეჩოგნე ბრაიან შელტონის შემდეგ (1991-92), ვინაც იქ ზედიზედ მეორედ იმარჯვა, და ასევე პირველი ვიჯაი ამრიტრაჯის მერე (1976, 1980, 1984), ნიუპორტული კოინდარი საჩემპიონოდ უკვე მესამედ რომ გაჯეგა.

ამ გამარჯვებამ მისი საკარიერო ტიტულმონაგარი 15-მდე აიყვანა და, ბარემ იმასაც გეტყვით, რომ ამ 15-დან ხუთი მას სწორედ ბალახზე მოურეწავს. ამ მაჩვენებლით ის მოქმედ მეჩოგნეთაგან ლეიტონ ჰიუიტს ეტოლება და მხოლოდ ერთით მეტის მომგებ როჯერ ფედერერთან აგებს. ბალახზე მოგებული შეხვედრების რაოდენობით კი — და ამ საფარზე მას უკვე 86 მოგება დაეკვეხება — იგი მოქმედთაგან სულაც შეუცილებელი გახლავთ.

და კიდევ — გრეგი გახდა მესამე ოცდაათსგადაცილებული კაცი, ვინაც წლეულს რაგინდარა საეტიპიო ტურნირზე იპირველა. წინა ორი სკოტსდეილში გაჩემპიონებული 33 წლის ავსტრალიელი უეინ ართურსი და მემფისში ნახეირალი 31 წლის დანიელი კენეტ კარლსენი გახლავან.



ერლ „ბაჩ" ბუხჰოლცი

# წლეულს აღზევებულნი

**ჩოგბურთის** დიდების დარბაზში წლეულს სასიქადულო ადამიანთა მორიგი პარტია აღზევდა. საჩოგნეთის ღმერთებმა და ნახევრადღმერთებმა კორტზე და მის ირგვლივ სხვადასხვა დროს დამაშვრალი ამქრიდან ამერიკელი ჯიმ კურიე, ფრანგი იანიკ ნოა, ჩეხი იანა ნოვოტნა და სპორტის გადამდგარი მეჩინმაჩინე ერლ „ბაჩ" ბუხჰოლცი გამოარჩიეს.

ჯიმ კურიე (34) პროფესიონალი 1988 წელს გახდა და 13-წლიანი კარიერისას 23 საერთეულო და 6 საწყვილო ტიტული მოხიკა. ამათგან ყველაზე ფასეული — ბუნებრივია — მის მიერ 1991-92 წლებში მიჯრით მოგებული როლანგაროსული და 1992-93 წლებში მიჯრითვე ნაშოვნი ავსტრალიური სლემტიტულები გახლავთ. კაცთა განყოფილებას ის უმთავრესად სწორედ 1992-ში ყოჩობდა, როცა ეიტიპის წლის მეჩოგნის წოდებაც ირგუნა, სათავეში კი ამქარს ჯამში 58 კვირის განმავლობაში ედგა. ის შვიდი წლის განმავლობაში იცავდა აშშ-ის დევისნაკრების ღირსებას და ორჯერ, 1992 და 1995 წლებში იდევისთასა კიდეც. გამოირჩეოდა უკანა ხაზიდან ბარაქიანი გლაჯუნით და თავის კერპად ყოველთვის ლეგენდარულ შვედ ბიორნ ბორგს ასახელებდა.

იანიკ ნოამ (44) თავისი 12-წლიანი კარიერისას კურიეს დარად 23 საერთეულო ტიტული მოიმკა, თუმცა წყვილადაც ხალისიანად ირჯებოდა და ჯამში 16 ჯილდო დაიხვავა. 1983 წელს მან საფრანგეთს მანამდე 37 წლის განმავლობაში მოუგებელი როლანგაროსული ტიტული მოუხვეჭა და ეს ისე დამაჯერებლად ქნა, მეტოქეთათვის ერთ სეტზე მეტი არ დაუთმია. 1991 წელს ნოავე კაპიტნობდა ფრანგთა იმ დევისნაკრებს, 59-წლიანი პაუზის შემდეგ თასის მოგება რომ შეძლო. კარიერისას ამ შუშპარა აფროფრანგმა ექვსჯერ უწია ზეათეულს, ხოლო 1986 წელს მესამე საფეხურამდეც ამაღლდა.

იანა ნოვოტნა (36) უმთავრესად მის მიერ 1998 წლის უიმბლდონობის მოგებით გეხსომებათ, თუმცა ხამს, ისიც იცოდეთ, რომ მას კიდევ 12 საწყვილო სლემტიტულიც მოეძევება. სულ თავისი 12-წლიანი კარიერისას ამ ღონიერმა ჩეხმა დედაკაცმა 24 საერთეულო და 76 საწყვილო ტიტული დაიგროვა, 11-ჯერ იპაექრა ფედერაციის თასზე და 1998 წელს თვისტომებთან ერთად იმარჯვა კიდეც. 1991-97 წლებში ის შვიდჯერ აჭრილა ზეათეულში და 1997-ში მეორე საფეხურზეც იდგა.

რაც შეეხება ერლ ბუხჰოლცს (64), 1963 წლიდან, რაც რომ სხვებთან ერთად კაცმეჩოგნეთა პირველი ასოციაცია დააარსა, ეს ამაგდარი კაცი მსოფლიო ჩოგბურთის განვითარების საქმეს ათწლეულების განმავლობაში ჰალალად ემსახურებოდა. სხვადასხვა დროს მას სხვადასხვა პროფესიული თუ ადმინისტრაციული თანამდებობა ეკავა. 1985 წელს ეს სწორედ მან დაარსა მაიამობა, რაიც დღემდე მეხუთე სლემტურნირის არაოფიციალური სტატუსით სარგებლობს.

როგორც მოთამაშეს მას მაინცდამაინც დიდი მიღწევები არ დაეკვეხება, თუმცა ზეათეულში ოთხჯერ მდგარა და 1960 წელს ჩოგანი მეხუთე საფეხურისთვისაც გამოუკრავს.

სხვაფრივ — ჩოგბურთის დიდების დარბაზი 1954 წელს დაარსდა, ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ ის 1986 წელს აღიარა და მასში ჩოგბურთის 190 მოღვაწეა აღზევებული.

# პოსტსკრიპტუმი საფედთასო უქმეებისთვის

**ფედერაციის თასის** მსოფლიოს ზეპურ ჯგუფში შემდგარ ნახევარფინალურ შეხვედრათა შესახებ გუშინვე გამცნეთ. გაუწყეთ, რომ შარშანდელმა ჩემპიონმა რუსეთმა შინ ვინუს უილიამსის მიერ ნაყოჩარ აშშ-ის ნაკრებს სძლია, ხოლო შარშანდელმა ფინალისტმა საფრანგეთმა — ესპანეთს, და რომ გამარჯვებულები საფინალოდ ერთმანეთს 17-18 სექტემბერს სავარაუდოდ როლანგაროსულ სანახებში დასცხებენ.

ამასთანავე გუშინვე დაგპირდით, რომ მოგვიანებით ამ ნახევარფინალებში დარჩენილი უკვე აღარაფრის მაქნისი, „მკვდარი" მატჩების შედეგებსაც გამცნობდით ზეპურ ჯგუფში გამართულ პლეიოფებთა შედეგებთან ერთად.

მაშ ასე: მას შემდეგ, რაც ანასტასია მისკინამ ჯილ კრეიბასს მოუგო და თვისტომნი 3:1-ით ანუ დაუწევლად დააწინაურა, ვერა დუშევინამ და დინარა საფინამ წყვილად აჯობეს ვინუს უილიამსსა და კორინა მორარიუს 6:1, 7:5. ფრანგულ-ესპანურ დაპირისპირებაში კი ამელი მორეზმოსგან ნურია ლიაგოსტერას ძლევისა და საფრანგეთის 3:0-ით წინ გაჭრის შემდეგ, საჩვენებელ მატჩში ჯერ ესპანელმა არანჩა პარა სანტონიამ მოუგო გამოუცდელ ფრანგ სევერინ ბელტრანს 6:4 6:4, მერე კი ეგეევე მორეზმო და მარი პირსი ანაბელ მედინა გარიგესსა და მარია ანტონია სანჩესს ჯუფთად დაუპირისპირდნენ, თუმცა ექს-ან-პროვანსში განსხვავებულისპირულმა წვიმამ დაუშვა და ამ დაპირისპირების საბოლოო ანგარიში ეგრეც გაურკვეველი დარჩა.

რაც შეეხება პლეიოფებს: გერმანელებმა მოულოდნელად 4:1 აჯობეს სტუმრად ხორვატებს და ამ გამარჯვებაში ლომის წვლილი დაიდო ნორჩმა ანა-ლინა გრიონეფელდმა, რომელმაც თავისი ორივე საერთეულო შეხლაც მოიგო და მერე იულია შრუფთან ერთად წყვილადაც ივარგა. ასევე „სამქულიანად" გაირჯა ამქრის ყოფილი პირველოსანი კიმ კლაისტერსიც და ლამის მარტოჩოგნად უზრუნველყო ბელგიელთაგან არგენტინელების 3:2 ძლევა. დანარჩენ ორ წყვილში კი შვეიცარიამ შინ 1:4 დათმო ავსტრიასთან, ხოლო ჩეხეთმა — 2:3 იტალიასთან. ჩეხთა ამოციაგებულმა გოგოცუნა ნიკოლ ვაიდიშოვამ თავის ორსავე საკენტო დაპირისპირებაში იმარჯვა, მაგრამ კვეტა პეშკესთან ერთად შეყვერებულმა ფრანჩესკა სკიავონესა და რობერტა ვინჩის ჯუფთს ვერაფერი დააკლო.



# მოკრივის მკვლელობა ცოლის თვალწინ

**ამერიკის** ქალაქ რედინგში მოკლეს ცნობილი მოკრივე ჯულიან ლეტერლო, რომელმაც პოპულარობა, უწინარეს ყოვლისა, თავისი მძაფრი შეტევებითა და სანოკაუტო დარტყმებით დაიმსახურა. როგორც ALL BOXING იუწყება, ლოტერლოს ზურგში მაშინ დაახალეს ტყვია, როცა იგი ერთ-ერთი ბარიდან ცოლთან ერთად გამოდიოდა.

პოლიცია ჯერჯერობით ამ მკვლელობასთან დაკავშირებით არავითარ კომენტარს არ აკეთებს. ცნობილი მხოლოდ ისაა, რომ ეჭვმიტანილი დაუყოვნებლივ დააკავეს, როცა პოლიცია ამას ცდილობდა, ერთ-ერთმა მათგანმა ეჭვმიტანილი დაჭრა.

ჯულიანო ლოტერლომ პროფესიულ რინგზე 21 ბრძოლაში გაიმარჯვა (20 ნოკაუტით), 5-ჯერ დამარცხდა, სამჯერ კი ფრედ დაასრულა შეხვედრა. ლეტერლო პროფესიულ რინგზე 28 წლის ავიდა, თანაც ისე, რომ არავითარი სამოყვარულო გამოცდილება არ ჰქონდა.

2001 წელს იგი IBF-ის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულზე აცხადებდა პრეტენზიას პირველ მძიმე წონაში, მაგრამ მაშინ მერვე რაუნდის შემდეგ ტექნიკური ნოკაუტით დამარცხება ჩაეთვალა.

# ჰარლემის ჩაქუჩის ჩაქუჩი

**ჯეიმს** ბატლერ უმცროსს, რომელსაც ზედმეტსახელად „ჰარლემის ჩაქუჩი" ჰქვია, ბრალად ედება სპორტული ჟურნალისტის... ჩაქუჩით მკვლელობა.

ეს ტრაგედია ჰარლემში, ჩვენი კოლეგის საკუთარ სახლში დატრიალებულა.

მოსამართლე კევინ ბრაუნმა გამოძიების მასალები საკმარისად ჩათვალა საიმისოდ, რათა 32 წლის „ჰარლემის ჩაქუჩის" წინააღმდეგ სასამართლო პროცესი დაეწყო. მას ბრალს დებენ მკვლელობასა და სახლის დაწვაში.

ის უბედური 29 წლის ჟურნალისტი, სემ კელმანი, შარშან 17 ოქტომბერს მკვდარი იპოვეს, მის გვამთან ახლოს კი აღმოაჩინეს მკვლელობის იარაღი.

# „ფსკოვის ციკლონი" — სიკვდილის ფესტივალი

**ფსკოვის** ოლქში გამართული ექსტრემალური სახეობების წარმომადგენელთა ფესტივალზე, რომელსაც „ფსკოვის ციკლონი" ეწოდება, სამი კაცი დაიღუპა. ფესტივალის მსვლელობისას ერთ-ერთი მაყურებელი მდინარეში გადავარდა და დაიხრჩო.

ასპარეზობის სხვა მონაწილეს, მოტოციკლისტს ავარია შეემთხვა და სასიკვდილოდ დაილეწა;

ფესტივალის მესამე მსხვერპლი აღმოჩნდა პარაპლანერისტი, რომელიც წყალში ჩავარდა და ისიც ისე დაიმტვრა, რომ ტრავმებისგან საავადმყოფოში გარდაიცვალა.

„ფსკოვის ციკლონში" მონაწილეობდნენ მოსკოვის, სანკტ პეტერბურგის, პეტროზავოდსკის, ჩერეპოვეცის, ეისკას, სმოლენსკის, ფსკოვის ოლქის აგრეთვე ლატვიისა და ესტონეთის წარმომადგენლები.

ამგვარი შეჯიბრება ყოველდღიურად 10-15 ათასამდე მაყურებელს იზიდავს.

# ჩვენი კოლეგაც გადარეულა



**კვირას**, დიდი ბრიტანეთის გრან პრის დაწყებამდე, სილვერსტოუნზე მისულ მაყურებელს საკვირველი სანახაობა ელოდა. აქ საპატიო წრეზე შემოურბინა შიშველმა ჟურნალისტმა ბობ მაკენზიმ.

ამ ბობ მაკენზიმ, რომელიც უმთავრესად „ფორმულა 1"-ის ამბებს აშუქებს, შარშან ყველას გასაგონად განაცხადა: „გაისად „მაკლარენი" თუ მთელი სეზონის განმავლობაში ერთ რბოლას მაინც მოიგებს, სილვერსტოუნზე შეჯიბრების დაწყებამდე შიშველ-ტიტველი გავირბენო."

მას მერე, რაც კიმი რაიკონენმა ბელგიაში გაიმარჯვა, „მაკლარენის" ბოსმა რონ დენისმა მაკენზის მისივე სიტყვები შეახსენა, სხვების გასაგონად კი თქვა: „მე უგულო კაცი სრულებითაც არ ვარ. დე, მაკენზიმ ტრუსებით ირბინოს." ამგვარად, დენისმა „განაჩენი" შეუმსუბუქა მაკენზის.

მაგრამ მაკენზი სულაც არ ფიქრობდა დანაპირების გადათქმას. რის ტრუსები, რა ტრუსებიო, გაშიშვლდა, სხეული „მაკლარენის" ფერებით აიჭრელა და ტიტველი გამოვიდა „სტარტზე".

„მეგონა, რომ პოლიციელები დამაპატიმრებდნენ, მაგრამ ისინი პირიქით, გამხნევებდნენ, მიდი, მიდიო" — გაკვირვებული ამბობდა ბობ მაკენზი.



# დორტმუნდის სუპერტურნირი

დორტმუნდი. გერმანია 8 - 17 ივლისი

III ტური

| | | |
|---|---|---|
| მაიკლ ადამსი (ინგლისი) | 0:1 | ლუკ ვან ველი (ჰოლანდია) |
| ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი) | 1:0 | ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) |
| პეტერ ჰაინე ნილსენი (დანია) | 0,5:0,5 | ემილ სუტოვსკი (ისრაელი) |
| ეტიენ ბაკრო (საფრანგეთი) | 0,5:0,5 | პეტერ სვიდლერი (რუსეთი) |
| არკადი ნაიდიჩი (გერმანია) | 1:0 | პეტერ ლეკო (უნგრეთი) |



არკადი ნაიდიჩი და პეტერ ლეკო

# ზევიდან ქვევით, ქვევიდან ზევით!

**არკადი ნაიდიჩი**, ლუკ ვან ველი და პეტერ ჰაინე ნილსენი ტურნირის დაწყებამდე აშკარა აუტსაიდერებად ითვლებოდნენ, თუმცა, ყველასდა გასაკვირად, მესამე ტურის შემდეგ შეჯიბრებას ზუსტად ეს სამეული ლიდერობს. სამივე მოჭადრაკეს ორ-ორი ქულა აქვს და ნახევარი ქულით უსწრებენ უახლოეს ხუთ მდევარს.

ალბათ, კარიერაში ისტორიული გამარჯვება მოიპოვა 19 წლის ნაიდიჩმა. მან თეთრი ფიგურებით ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტ პეტერ ლეკოს 59 სვლაში მოუგო. არადა, უნგრელი დიდოსტატი ფიდეს რეიტინგში 150 ადგილით უსწრებს ყმაწვილ გერმანელს.

მეტოქეებმა სიცილიური პარტია გაითამაშეს, ნაიდიჩმა მეოთხე სვლაზე როქი გააკეთა და მსუბუქი ფიგურებით შეუტია უნგრელს. ლეკო მოიერიშე რაზმს მედგრად დაუხვდა, ერთი-ორი დაარტყა, უკან გააბუნძულა და ჯარის განვითარებას შეუდგა. მე-20 სვლაზე მოჭადრაკეები ფიგურების გაცვლაზე გადავიდნენ, ექვსი სვლის შემდეგ კი ნაიდიჩმა კუთი e6-ე უჯრაზე მდგარი პაიკი მოუკლა მტერს და ხარისხით დაწინაურდა. უმრავლესობაში დარჩენილი მასპინძელი უფრო თამამად შეუდგა იერიშებს, ლაშქარი ორივე ფლანგზე დაქოქა და მეტოქეს სახიფათოდ მიაწვა. ლეკომ თავის გადასარჩენად თეთრ მეფეზე იერიშებს მიმართა, თუმც არაფერი გამოუვიდა და შეტევა აქეთ მიიღო. 48-ე სვლაზე ლეკოს ლაზიერი და ორი პაიკი შერჩა, ხოლო ნაიდიჩს ლაზიერი და სამი პაიკი. გერმანელი ფიგურების გაყვანას შეუდგა. მდგომარეობის განსამუხტავად ლეკო თეთრ ხელმწიფეს შავი ლაზიერით რამდენჯერმე დაემუქრა, თუმც ვერაფერი დააკლო და 59-ე სვლაზე ხელები აწია.

სპეციალისტთა იმედებს ვერ ამართლებს ვესელინ ტოპალოვი. ბულგარელი სტომატოლოგი ტურნირის დაწყებამდე მთავარ ფავორიტად იყო აღიარებული, თუმც განვლილ სამ ტურში მხოლოდ ერთი ქულა მოაგროვა და მისთვის უსახურ ბოლოსწინა ადგილზე ჩამოხტა.

**ლაშა გეგეჭკორი**



პეტერ ლეკო არკადი ნაიდიჩს 59-ე სვლაზე დანებდა

| | | |
|---|---|---|
| 1 | არკადი ნაიდიჩი (გერმანია) | 2 ქულა |
| 2 | პეტერ ჰაინე ნილსენი (დანია) | 2 |
| 3 | ლუკ ვან ველი (ჰოლანდია) | 2 |
| 4 | მაიკლ ადამსი (ინგლისი) | 1,5 |
| 5 | ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი) | 1,5 |
| 6 | პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 1,5 |
| 7 | ემილ სუტოვსკი (ისრაელი) | 1,5 |
| 8 | პეტერ სვიდლერი (რუსეთი) | 1,5 |
| 9 | ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) | 1 |
| 10 | ეტიენ ბაკრო (საფრანგეთი) | 0,5 |

# ზღვის ქალი

აქეთ „რენოს“ ფრანგი პილოტი ფერნანდო ალონსოა, იქით მისი იტალიელი თანაგუნდელი ჯანკარლო ფიზიკელა, შუაში კი ისეთი მაგარი ქალი უდგათ, ამ კაცებს შეუძლიათ გადაებან ერთმანეთს და თავიანთი მანქანებით „სილვერსტოუნზე“ გაიჯირითონ, სადაც გადაიღეს კიდეც ეს ფოტო... ეს ქალი ინგლისელი იახტსვუმენი ელენ მაკარტურია. აი, ის, მარტო რომ შედის ოკეანეში და ბოქსებში არავინ ელოდება.




AFP



## შონი ცეცხლში

ეს ქალი შონი ვანანდინგემია, ამერიკელი, რომელიც მსოფლიო თასზე მონაწილეობს და ამ ეტაპზე მეოთხე ადგილზეა. თუ მის უკან ბუნება მოგეწონათ, იცოდეთ, ეს ნიუ მექსიკოში, უფრო ზუსტად, კი ენჯელ ფაიარში, ჩვენებურად, ანგელოზის ცეცხლშია გადაღებული.

AFP

## დამშვიდდით

ესპანელი ველომრბოლი ფრანსისკო მანცებო კი არ გაძველბიჭებულა, „ტურ დე ფრანსის“ მეცხრე ეტაპზეა ფერარმესა და მულუზს შორის, ხელები დაკავებული აქვს და ასეთი მეთოდით წყალს სვამს. ეს არის და ეს.




AFP




AFP

## ა, კაცი!

„ჯერონიმო“ სამკორპუსიანი ნავია, რომელსაც საფრანგეთის ყველაზე პოპულარული მეზღვაური ოლივიე დე კერსუსონი მართავს. მან ავსტრალიას ჩვიდმეტ დღეში, ცამეტ საათში, 32 წუთში და 39 წამში შემოუარა, რაც მსოფლიოს რეკორდი ყოფილა.

## ბრავო, რაგაცი!

იტალიელმა ფრენბურთელმა გოგონებმა ჰონკონგში თავიანთი საერთაშორისო ფედერაციის გრან პრი მოიგეს და ჩინეთთან ფინალური 3:0-ის შემდეგ აი, ეს ფოტო გადაიღეს.




AFP

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კილაურიძე, თამარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ ცოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge